

I. ქართული ენა

(4) 1. შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელი ფრაზეოლოგიზმები შეესაბამება ტექსტში ხაზგასმულ სიტყვებს.

- ა) თავის ატკივება; ბ) თავის გამოდება; გ) თავის დაძვრენა; დ) თვალის ახვევა;
- ე) თვალში მოსვლა; ვ) მხარის აქცევა; ზ) მხარში ამოდგომა; თ) სიტყვის მიცემა; ი) სიტყვის შებრუნება; კ) ხელში ჩაგდება.

იასონი ბიძების თანხლებით მეფე პელეასს ესტუმრა. მეფემ მეტოქის თავიდან მოშორება გადაწყვიტა. იგი იასონს (1)დაჰპირდა: თუ კოლხეთს გაემგზავრები, ოქროს საწმისს (2)მოიპოვებ და ბერძნებს დაუბრუნებ, მამაშენის ტახტს დაგიბრუნებო. საბერძნეთის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ რჩეული ვაჟკაცები, რათა იასონს (3)დახმარებოდნენ. სახელგანთქმულმა გემთმშენებელმა არგოსმა (4)ძალიან მონდობა და მათთვის საუკეთესო ხომალდი ააგო.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების შესაბამისი ნომრების გასწვრივ მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(4) 2. კონტექსტის გათვალისწინებით შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია ტექსტში ხაზგასმული სიტყვების შესაფერისი ანტონიმები.

- ა) ახოვანი; ბ) ზორბა; გ) ღმობიერი; დ) მაღალი; ე) მდიდარი; ვ) მრავალი;
- ზ) ნოყიერი; თ) რბილი; ი) ტენიანი; კ) უღვევი.

ტროპიკული ტყეები გამოირჩევა (1)მკაცრი ჰავითა და (2)მწირი მცენარეული საფრით. აქ პალმის (3)ცლტა სახეობა ხარობს. პალმას აქვს (4)დაბალი დაუტოტავი ღერო და დიდი ფოთლები.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების შესაბამისი ნომრების გასწვრივ მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(10) 3. ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები. ხუთ წინადადებაში თითო-თითო შეცდომაა, ხუთი წინადადება უშეცდომოა. თუ წინადადებაში შეცდომაა დაშვებული, აღნიშვნა **X** გააკეთეთ პირველი რიგის შესაბამის უჯრედში, ხოლო თუ წინადადებაში შეცდომა არაა, აღნიშვნა **X** გააკეთეთ მეორე რიგის შესაბამის უჯრედში.

	I შეცდ.	II უშეცდ.
1. ცნობილი ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი ელენე ახვლედიანი დაიბადა თელავში 1901 წელს.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. იგი ჯერ სამხატვრო სტუდიაში სწავლობდა, ხოლო 1922 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. იმავე წელს აკადემიის ხელმძღვანელობამ წარჩინებული სტუდენტი სწავლის გასაგრძელებლად პარიზში მიაგვლინეს.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. კოლაროსის აკადემიის წარმატებით დასრულების თანავე ახალგაზრდა მხატვარი სამშობლოში დაბრუნდა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. ელენე ახვლედიანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პეიზაჟური ფერწერის განვითარებაში.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მისი ტილოები იმთავითვე შედევრებად აღიარეს ხელოვნების მოყვარულებმა, რომელთაგან გამოირჩევა თბილისის, სიღნაღისა და თელავის პეიზაჟები.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. ელენე ახვლედიანის ინტერესები გაცდა ფერწერას და მან დიდ წარმატებას მიაღწია მხატვრობის სხვა დარგებშიც.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მხატვარი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართული სცენოგრაფიის განვითარებას.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. იგი ასევე ნაყოფიერათ თანამშრომლობდა გამომცემლობებთან და არაერთი წიგნი გააფორმა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. ელენე ახვლედიანის საუკეთესო გრაფიკული ნამუშევრებია ვაჟა-ფშაველას მოთხრობებისა და პოემების ილუსტრაციები.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(14) 4. ტექსტში დაშვებულია სულ 11 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. **გაასწორეთ** ეს შეცდომები და ხარვეზები და **ისე გადაწერეთ ტექსტი**, რომ არც ერთი წინადადების შინაარსი არ შეცვალოთ. თუ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში არ იქნება არც ერთი შეცდომა, დამატებით მოგეცემათ 3 ქულა.
(*გაითვალისწინეთ*, ერთ წინადადებაში შეიძლება შეგხვდეთ ერთზე მეტი შეცდომა ან ხარვეზი.)

აღმასი ყველაზე ძვირფასი ქვაა. მისგან ოდითგანვე სამკაულებს ამზადებდნენ. მეცნიერებს მრავალი წლების წინ დაუსახიათ მიზნად ხელოვნური აღმასის შექმნა რათა ეს ქვა რთული მოსაპოვებელი იყო. დღეს ადგილი აქვს აღმასის გამოყენებას წარმოებაშიც. იგი სიმკვრივით იმდენად გამოირჩევა რომ აღმასის ხერხით ძვირფას ქვებსაც კი სჭრიან.

ველური ტომების ბელადებს სწამდათ რომ აღმასს შეეძლო მტერისაგან მათი დაცვა და ამიტომ ძაღზე უმნიშვნელოვანესი ბრძოლის წინ მას თავსაბურავზე იმაგრებდნენ. აღმასი სიმბოლურად სრულყოფილებასა და უძლეველობას ანსახიერებდა.

II. ქართული ლიტერატურა

(4) 6. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს:

ხოლო ნეტარმან გრიგოლ ფარულად მოუწოდა ნეტარსა ეფრემს და ჰრქუა მას: „შვილო, პატივისა მაგის წმიდისა მღვდელთმთავრობისასა გაფუცებ, ნუ უშლი სულიერად ძმასა შენსა არსენის“. ხოლო მან ჰრქუა: „წმიდაო მამაო, ვერ ეგების ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაი სამართლისათვის, და მეცა შემინდვე, რამეთუ არა ვარ ამიერიტგან არსენის ცხოვარი და არცა იგი – ჩემი მწყემსი“. მაშინ წმიდამან მან მკსინვარედ ჰრქუა: „უკუეთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უვარ-მყავ, ვითა არა შენი მოძღუარი ვარ!“ ხოლო ნეტარი ეფრემ სიტყუასა მას ზედა სულიერისა მამისა და მოძღურისასა ატირდა და ჰრქუა: „ფიცხელ არს ბრძანებაი ესე, განმკუეთელ უფროის მახვილისა...“

1. *განმარტეთ*, რა მიზნით მოიშველია ეფრემმა არგუმენტი: „ვერ ეგების ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაი...“
2. *განმარტეთ*, რა იგულისხმება გადატანითი მნიშვნელობით ეფრემის სიტყვებში: „არა ვარ... არსენის ცხოვარი და არცა იგი – ჩემი მწყემსი“.
3. *განმარტეთ*, რამ განაპირობა ეფრემის პოზიციის შეცვლა.
4. *ამოიწერეთ* სამი სიტყვა, რომლებშიც ჩანს, რას აღარებს ეფრემი მოძღვრის „ფიცხელი“ სიტყვების ზემოქმედებას.

(4) 7. ტარიელი იხსენებს მეფის სასახლეში გამართულ თათბირს:

დედოფალმან თქვა: „ხვარაზმშა მეფეა მორჩებით მჯდომელი, მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი!“
შეცილებამცა ვინ ჰკადრა, რათგან თვით იყო მნდომელი!
მოწმობა დაგპროთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა მხდომელი.
გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შვილისა მთხოველი,
შესთვალეს: „გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოველი;
არს ერთი ქალი საძეო, არ კიდე-გასათხოველი,
თუ მოგვცემ შვილსა სამისოდ, სხვასა ნუღარას მოელი“.

1. *დაასახელეთ* დედოფლის არგუმენტი, რომლის მეშვეობითაც იგი ასაბუთებს, რომ ხვარაზმშას ძეს სასიძოდ ვერაფერ სჯობს. (ციტირება დაუშვებელია!)
2. *განმარტეთ*, რამ გამოიწვია ის, რომ ტარიელი დედოფალს ვერ შეეკამათა.
3. *გადმოეცით* შემდეგი სიტყვების შინაარსი: „გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოველი“ (ციტირება დაუშვებელია!)
4. *გაიხსენეთ*, რა უსამართლობა იფარებოდა ხვარაზმშასათვის შეთვლილ ამ სიტყვებში.

(3) 8. დავით გურამიშვილი გვიამბობს:

სეტყვისა თავში დაცემის შიშითა პირქვე მხობილსა,
გულმან მთქვა: „ადექ, იელვებს, იპოვნი გამოქობილსა“.
ადექ, იელა, მივადეგ კარს, მთა-ხვრელს ლოდგაძრობილსა,
მიველ და მაშიგ უკუვსძვერ, ვმადლობდი მხოლოდშობილსა.

1. *განმარტეთ*, რის მეშვეობით იპოვა დავითმა თავშესაფარი.
2. *ამოიწერეთ* „გამოქობილის“ მსგავსი მნიშვნელობის გამოთქმა. (არა უმეტეს ორი სიტყვისა)
3. *დაასახელეთ*, ვის უხდოდა მადლობას ავტორი. (ციტირება დაუშვებელია!)

(4) 9. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო...“ გკითხულობთ:

მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა, გული და სული,
და კაცთა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?
თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.
მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა შობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!

1. *განმარტეთ*, სიყვარულის შესახებ ბანოვანის რა შეხედულება ჩანს ამ მონაკვეთში. (ციტირება დაუშვებელია!)
2. *ამოიწერეთ* სიტყვა, რომელიც მშვენიერი სულის თვისებას გამოხატავს.
3. *ჩამოაყალიბეთ* ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი.
4. *დაასახელეთ* ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც მიეკუთვნება ეს ტექსტი.

- (4) 10. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „მგზავრის წერილები“ ავტორი გადმოგვცემს რუსი ოფიცრისა და მგზავრის დიალოგს:
- პეტერბურგის გულობა რით დაამტკიცეთ?..
 - არა, ჯერ მე მითხარით: იზღერის ბაღი გინახავთ, თუ არა? თქვენ, აქაურები, ესე იგი ქართველები თუ სომხები, სამეცნიერო ლაპარაკს ჩვეული არა ხართ! ამიტომაც ერთის საგნიდამ მეორეზედ გადახტებით ხოლმე. თქვენ ზედმიყოლებითი, რიგიანი სჯა არ იცით. ეგ, რასაკვირველია, გაუნათლებლობისაგან მოვლით. მგონი, თქვენ არც კი იცით, - რა არის ცივილიზაცია, ასოციაცია, არდუმენტაცია, ინტელიგენცია, კასსაცია და ფილოლოდია. მაგრამ ეგ არაფერი, წარმავალია. თქვენც გაიწურთნებით. მადლობა ღმერთს, აფიცრობა და ჩინოფნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდან თქვენს გასანათლებლად. არა, ჯერ მითხარით, იზღერის ბაღი გინახავთ, თუ არა?..
1. *განმარტეთ*, რის წარმოსახენად ჩამოთვლის რუსი ოფიცერი სიტყვებს: „ცივილიზაცია, ასოციაცია, არდუმენტაცია...“
 2. *განმარტეთ*, რა წარმოუდგენია რუს ოფიცერს ქვეყნის განათლების აუცილებელ პირობად.
 3. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით, რუსი ოფიცრის მიერ დასახელებული რომელი ნაკლი ვლინდება მისსავე მსჯელობაში.
 4. *დაასახელეთ* მხატვრული საშუალება, რომელსაც ავტორი ოფიცრის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების წარმოსახენად იყენებს.
- (4) 11. ვაჟა-ფშაველას პოემაში „ბახტრიონი“ კვირია თავის გეგმას აცნობს ლელას:
- თან ვეტყვი: „ყეინს მოვართვი
ფეშქაშად ტურფა ქალიო;
გთხოვთ მანუგეშოთ მენაცა,
კაცი ვარ შესაწყალიო“.
- კარს გაგვიდებენ ციხისას,
მარჯვედ მოვხვდებით შიგითა.
შენ თუნდა ხელსაც ნუ გასძრავ,
ჩვენს ჯარს მე ვუშველ იქითა.
ჯარი ხვალემდე არ მოვა,
ჩვენ სულ წინდაწინ ვიართო,
მზას ვიყვნეთ, ციხის კართა
საქმე წაღმ დავატრიალოთ.
1. *განმარტეთ*, რა ხერხით ცდილობს კვირია ციხის მცველების მოტყუებას. (ციტირება დაუშვებელია!)
 2. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამია, რომ კვირია ჯილდოს მოელის მტრებისაგან.
 3. *განმარტეთ*, რა არის სინამდვილეში კვირიას მიზანი.
 4. *დაასახელეთ* კვირიას თვისება, რომელიც მოცემულ მონაკვეთში ვლინდება.
- (4) 12. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობიდან „შელოცვა რადიოთი“:
- „რაო? - თქვენ იცეკვებდით?“ - ბრომლეი ისეთის სისწრაფით შებრუნდა სავარძელზე, რომ სიგარის ფერფლი კალთაში ჩაუვარდა. „რომ მიჭირდეს, როგორც იმ საცოდავ ქალს, დიადაც!“ მისტერ ბრომლეი ელის თვალეში ჩაძვრა: „თუ თქვენ იცეკვებთ, მიბრძანეთ, რაც კი გნებავთ...“ „წამიყვანეთ ტფილისში“, - თითქოს წამოცდა ელის. ჰექსლეი: „აკი მოგახსენეთ, აქედან წასვლა მთელი ჩემი საქმეების დანგრევას გამოიწვევს-თქო“. ბრომლეი ელის: „რათ არ მიბრძანეთ ამდენხანს, ჩემთვის ეს ადვილი მოსაგვარებელი იყო. (ჰექსლეის მიმართ) მე ვიცი თქვენ გეშინიათ... ჰფიქრობთ, რომ აქციები კიდევ უფრო დაეცემა; მე ვყიდულობ ყველას... დღესვე“.
1. *ამოიწერეთ* ორსიტყვიანი მეტაფორული გამოთქმა.
 2. *განმარტეთ*, რა განცდა ამოძრავებს ელის. (ციტირება დაუშვებელია!)
 3. *განმარტეთ*, რა მიზანი ამოძრავებს ბრომლეის.
 4. *განმარტეთ*, ბრომლეის ხასიათის რა თვისება ჩანს ამ ტექსტში.

III. წაკითხვის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება № 1

ყურადღებით წაკითხეთ მონაკვეთი დავით კლდიაშვილის მოთხრობიდან „როსტომ მანველიძე“:

მანველიძეები იმერეთის აზნაურთა გვარს ეკუთვნიან. იმ გარემოებით, რომ არც ერთ მანველიძეთაგანს გარდათქმული გვარი არ რქმევია, რაც ხშირად იციან იმერეთში მომრავლებულ მოგვარეთა გასარჩევად, დიდად იწონებდნენ თავს და ამ შემთხვევას ისე ხსნიდნენ, თითქო მათთან მორიდებისა და შიშის გამო ვერ უბედავდნენ გვარის გადარქმევას.

თავიანთი გვარის წარჩინებულობაზე სიტყვა მუდამ ენაზე ეკრათ და ამ წარჩინებულობის დასასაბუთებლად მოჰყავდათ ამბავი, ვითომ ერთ მეფეს, რომელს – ბაგრატს, ფარნაოზს თუ ალექსანდრეს – ამას გვარში დაცული ზეპირგადმოცემა გარკვევით არ აღნიშნავდა, ერთი მანველიძეთაგანი კარისკაცად ჰყოლია. ისე დაწინაურებულა, რომ მეფეს მისთვის სახლთუხუცესობაც კი უბოძებია. თუმცა მოკლე ხნით შერჩენია ეს საპატიო თანამდებობა, რადგან ჩვეულებრივი არეულობა მომხდარა, მეფე გადაუგდიათ, მოუკლავთ და ამასთან ერთად დაღუპულა მსახური ისე, რომ მისი სახელიც კი დაკარგულა.

ამ ზღაპრული სახლთუხუცესის შემდეგ მანველიძეთა გვარი მაინცდამაინც არავის უსახელებია, თუ სათვალავში არ მივიღებთ რამოდენიმე ყმაწვილს, რომელთაც მათმა არასაკადრისმა საქციელმა ციმბირში ამოაყოფინა თავი. მაგრამ მანველიძეებს მაინც დიდად მოჰქონდათ თავი, ძვირად თუ ვისმეს იტოლებდნენ და სხვა აზნაურებში არჩევდნენ თავიანთ თავს.

რადგან მანველიძეთა დიდება ბუნდოვანი წარსულის ამბებზე იყო დამყარებული, იგი დავიწყებასაც ადვილად ეძლეოდა და საჭირო ხდებოდა ხშირ-ხშირად ამ შორეული ამბების გახსენება და ჩაგონება ნამეტურ იმ ვივინდარებისათვის, რომელთაც ამ ბოლო დროს თავი წამოჰყვეს და ტუტუცურად ტუჩს უბზუებდნენ წარსულისაგან ნაანდერძევ დიდებულებას და დასცილდნენ ზღაპრულ ამბებზე აშენებულ ამყობას. ამგვარ ჩაგონებას არა ერთხელ აყალმაყალი გამოუწვევია, ბევრი უსიამოვნება შეუხვედრებია მანველიძეთათვის, მაგრამ ესენი მაინც თავისას არ იშლიდნენ და არავითარ შფოთს არ ერიდებოდნენ. ამგვარმა დაურიდებლობამ ამას წინათ, მაგალითად, მხიარული ქორწილი გააუგემურა და კინაღამ სისხლითაც შეღება...

როსტომ მანველიძე თავის დროზე თავმომწონე მანველიძე იყო. ყმაწვილობისას გული საგმირო საქმეებისათვის უძგერდა; სხვებსავით შემთხვევაზე იგიც გამოწყობილა თოფ-იარაღით, შემჯდარა ცხენზე, ჯარიანობაში მონაწილეობა მიუღია და ჩხუბსაც დასწრებია, გულადობა და ვაჟკაცობა გამოუჩენია, რისთვისაც იუნკრის ჩინითაც ყოფილა დაჯილდოებული. თავის დროზე იუნკრობაც ხარისხი და ჩინი იყო, მრავალთათვის სახარბიელო, სანატრელი და საძებარი, როგორც წარმატებისთვის ერთი საფეხური, მაგრამ ბედმა ამ საფეხურს როსტომს აღარ გადააშორა. დროთა ვითარებამ კი ხარისხი ისე გააზუნა, რომ დაბოლოს როსტომს საწყენადაც ურჩებოდა, თუ ვინმე გაუხსენებდა მის იუნკრობას. თუ რამ შერჩა როსტომს მისი ვაჟკაცობისა და გულადობის მომაგონებლად – ეს იყო წითელკანტჩაყოლებული ლურჯი შარვალი, რომელსაც იგი ატარებდა, როგორც ცხენოსან ჯარში ნამსახური პირი.

ბატონყმობის გაყრიდან ბედნიერად გამოვიდა როსტომი. რაღაც მისდა იღბლად შერჩა ერთი ნაყმევი, დღეს მასავით მოხუცებული დათია, რომელმაც აღარც თავისუფლება დაეძია, აღარც ცოლი, აღარც შვილი, აღარც საკუთარი ოჯახი და როსტომს შეეკედლა განუშორებლად. თავისნება კაცი იყო დათია, მაგრამ მისგან ყველაფერი მოსათმენი იყო, რადგან როსტომის ოჯახში იგი მოურავიც იყო, მზარეულიც, ხაბაზიც, თავიცა და ბოლოც. ძალიან უწყობდა ხელს თავის გუნებაში დათია თავის ნაბატონარს. მეტად მეცადინეობდა, რომ იგი მანველიძეთა საკადრისი ცხოვრებით ეცხოვრებინა, მაგრამ ყოველივე ამას ხდებოდა. შემოსწრებული ცხოვრების შეუბრალებელი პირობები თავისას შერებოდნენ – მანველიძის ოჯახი უკან-უკან მიდიოდა, უკან-უკან მიიხრავდა, მუდამ დღე კლებდა იყო...

ერთი ვაჟი ჰყავდა როსტომს და მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, ისე გადაიკარგა სადღაც. მეუღლე იყო მისი, მარიამი, და როგორც ის, ისე როსტომთან შეურცხვენელ მეუღლეობაში ნაყოლი ოთხი მისი ქალიშვილი ოჯახს სრულიად გულს არ უდებდნენ, სრულიად არ დაეძებდნენ, მუდამ საკუთარ ოჯახს გარეთ იყვნენ, გაურბოდნენ თავიანთ უხალისო ბუდეს, მისვლა-მოსვლას უნდებოდნენ: ხან ნათესავებში იყვნენ, ხან კეთილებში, ხან ნაცნობებში, თვი-

თონაც დროს ატარებდნენ და სხვებსაც ეხმარებოდნენ დროს ტარებაში. ამაში კი ზედმიწევნით დახელოვდნენ...

როსტომი ხმას არ იღებდა ქალებისაგან ოჯახის ამგვარ მივიწყებაზე. შეიძლება იმ მოსაზრებითაც, რომ წლიდან წლამდის მათი შინ ყოფნა უფრო გაუჭირვებდა ისედაც გაჭირვებულ ცხოვრებას. სრულიად არ ეწინააღმდეგებოდა როსტომი ქალებს ასეთ მათ წანწალზე და ესენიც შემოიხედავდნენ თუ არა ოჯახში, იქვე იმ ფიქრს და დარდს ეძლეოდნენ, თუ სად და როდის წასულიყვნენ...

გდებაში ამოკლებდა უხალისოდ მიმდინარე სიცოცხლის დღეებს პატიოსანი აზნაური, დიდებული სახლთუხუცესის მანველიძის შთამომავალი. თითქმის კარგად შეეჩვია იგი ამგვარ გდებას, მაგრამ ხანდახან მაინც ისევ გაიღვიძებდა მასში წინანდელი მანველიძე და მაშინ შესაბრალისად მიმართავდა იგი თავის დათიას:

– სულ ასე ვეგდოთ, ბიჭო, აჰ?

– აბა რას იზამ? – მიუგებდა ერთგული მოსამსახურე, ერთადერთი არსება, რომელიც მისთვის ზრუნავდა და რომელსაც სულით და გულით მისთვის კეთილი სურდა.

– ჯორი შემიკაზმე, თუ კაცი ხარ!.. გევივლი ერთი სადმე!.. მეც მომეწყინა, ბიჭო!

– გეიარე მერე!.. გიშლის ვინმე თუ!

შეჯდებოდა როსტომი თავის გამხდარ, ბებერ ჯორზე, მიადგებოდა რომელიმე მახლობლად მცხოვრებ ნათესავს ან მეგობარს, რომ მწარე გულით მონდომებულს – ძველებურად მოეღიზინა და ყმაწვილებთან სმაში გაბმულიყო, მაგრამ მეორე-მესამე ჭიქაზე უკვე მოვრალი იყო ხოლმე, მეოთხეზე კი ძილი მოეკიდებოდა და სუფრაზე ხვრინავდა. დაბრუნდებოდა შინ და ისევ მიეგდებოდა თავის გამოყრუებულ სახლში.

ასეთ ცხოვრებას ატარებს დღეს საწყალი როსტომ მანველიძე, რომელსაც აღარც სახლთუხუცესის ჯაგრი აქვს... აღარც ოჯახისა; რომელიც აღარც ცოლის ამბავს კითხულობს, აღარც შვილებისას, – კარგად არიან, ავად არიან, ვისთან არიან? თხოვდებიან თუ ისევ ქალიშვილობაშივე ბერდებიან.

თუ ვინმე საქვეყნო საქმეებზე ჩამოაგდებს მასთან სიტყვას – ერთი გაჯავრებით ხელს ჩააქნევს, გესლიანად კარგად შეუკურთხებს და ყველაზე გულგატეხილი, ყველაფერზე გულდაწყვეტილი – ყველასა და ყველაფერს ჯანდაბამდის გზას დაულოცავს, მიყუჩდება და ისევ თავისებურად მიეგდება.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული სამ-სამი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 13. მანველიძეთა რა თვისებაზე მიგვანიშნებს ავტორი პირველი სამ აბზაცში?
 - ა) ამპარტავნობაზე.
 - ბ) ერთგულებაზე.
 - გ) შეუპოვრობაზე.
- (1) 14. ვის მიემართება ავტორის ირონია, რომელიც მეოთხე აბზაცშია გამოსატული?
 - ა) მანველიძეთა გვარის წარმომადგენლებს.
 - ბ) სკეპტიკურად განწყობილ „ვიგინდარებს“.
 - გ) ქორწილში აყალმაყალის მომწყობებს.
- (1) 15. როგორ ახასიათებს ავტორი ახალგაზრდა როსტომ მანველიძეს?
 - ა) როგორც მამაც ჭაბუკს.
 - ბ) როგორც იმედდაკარგულ ადამიანს.
 - გ) როგორც ჩინებისათვის მებრძოლს.
- (1) 16. რატომ „ურჩებოდა საწყენად“ როსტომს, როცა მის იუნკრობას შეახსენებდნენ?
 - ა) ეთაკილებოდა, რომ იუნკრობას ვერ გასცდა.
 - ბ) ეთაკილებოდა, რომ რუსეთის ჯარში მსახურობდა.
 - გ) ეთაკილებოდა, რომ საზოგადოება არაფრად აგდებდა.

- (1) 17. რატომ იყო დათიასაგან „ყველაფერი მოსათმენი“?
- იმიტომ, რომ დათია „მასავით მოხუცებული“ იყო.
 - იმიტომ, რომ დათია როსტომის ერთგული იყო.
 - იმიტომ, რომ დათია როსტომის მოურავი იყო.
- (1) 18. როსტომის ქალიშვილთა ხასიათის რომელი ნიშან-თვისებაა ხაზგასმული ტექსტში?
- ისინი აზნაურული თავმომწონეობით გამოირჩევიან.
 - ისინი არაფრად აგდებენ საკუთარ ძმას.
 - ისინი დროსტარებას გადაყოლილი ადამიანები არიან.
- (1) 19. რაში გამოიხატებოდა ის, რომ „ხანდახან მაინც ისევ გაიღვიძებდა მასში წინანდელი მანველიძე“?
- როსტომი ცდილობდა ბევრი სადღეგრძელო დაეღია.
 - როსტომი ცდილობდა ქეიფში ახალგაზრდულად მოეღხინა.
 - როსტომი ცდილობდა ძველი დიდება დაებრუნებინა.
- (1) 20. პერსონაჟის რა სულიერ მდგომარეობას გამოხატავს ავტორი უკანასკნელ ორ აბზაცში?
- დაბნეულობასა და გაუბედაობას.
 - უიმედობასა და გულგატეხილობას.
 - შიშსა და დეპრესიულობას.
- (1) 21. რომელი ფრაზა გამოხატავს უფრო ზუსტად ამ ტექსტის მთავარ სათქმელს?
- „გდებაში ამოკლებდა უხალისოდ მიმდინარე სიცოცხლის დღეებს პატიოსანი აზნაური, სახლთუხუცესის მანველიძის შთამომავალი“.
 - „მანველიძეებს დიდად მოჰქონდათ თავი, ძვირად თუ ვისმეს იტოლებდნენ და სხვა აზნაურებში არჩევდნენ თავიანთ თავს“.
 - „შემოსწრებული ცხოვრების შეუბრალებელი პირობები თავისას შერებოდნენ – მანველიძის ოჯახი უკან-უკან მიდიოდა...“

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულნი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, **დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამძვინვარება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამომავლიდან და არ იყოს კითხვებზე ცალკე ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 24.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ როსტომ მანველიძის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტში დახატული ოჯახური ურთიერთობების შესახებ;
- იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებით არის მიღწეული ავტორის მიზანი.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

ყურადღებით წაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მერი“:

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კედლმა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!
აფეთქებული და მოცახცახე
იწოდა ნათელ ალთა კრებული,
მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე
იყო იღუმალ გაფითრებული.
იწოდა ტაძრის გუმბათი, კალთა,
ვარდთა დიოდა ნელი სურნელი,
მაგრამ ღოდინით დაღალულ ქალთა
სხვა არის ღოცვა განუკურნელი.
მესმოდა შენი უგონო ფიცი...
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი:
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?
ლოდებთან ვიღაც მწარედ გოდებდა
და ბეჭდების თვლებს ქარში კარგავდა...
იყო ობლობა და შეცოდება,
დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა.
ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი
სად მატარებდა? ხედვა მიმდინა!
ქუჩაში მძაფრი დაჰქროდა ქარი
და განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა.
ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,
თავი მივანდე ფიქრს შეუწყვეტელს;
ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე
ღონე-მიხდილი მივაწექ კედელს.
ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრიალებდნენ ფოთლებს ბნელხმიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.
და შრიალებდა ტოტი ვერხვისა,
რაზე – ვინ იცის! ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა –
ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი.
სთქვი: უეცარი გასხივოსნება
რად ჩაქრა ასე? ვის ვევედრები?
რად აშრიალდა ჩემი ოცნება,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?
ან ცას დიმილით რად გავცქეროდი?
ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?
ან „მესაფლავეს“ რისთვის ვმღეროდი,
ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ღამეს“?

ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული
და მე ავტირდი – ვით მეფე ღირი,
ღირი, ყველასგან მიტოვებული.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული სამ-სამი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 13. ტროპული მეტყველების რომელ სახეობას იყენებს ავტორი პირველი სტროფის მეოთხე სტრიქონში?
ა) შედარებას. ბ) მეტაფორას. გ) ჰიპერბოლას.
- (1) 14. რას აღნიშნავს სტრიქონი: „იწოდა ნათელ ალთა კრებული“?
ა) ტადარი სანთლებით იყო განათებული.
ბ) სანთლის შუქზე გაფითრებული სახე ჩანდა.
გ) ჯვრისწერა მხოლოდ მწუხარებას იწვევდა.
- (1) 15. რატომ უწოდებს ლირიკული გმირი ჯვრისწერის ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვებს „უგონო ფიცს“?
ა) მიაჩნია, რომ ქორწინებას სიყვარული არ უდევს საფუძვლად.
ბ) მიაჩნია, რომ ქორწინებას ნამდვილი სიყვარული უდევს საფუძვლად.
გ) მიაჩნია, რომ ქორწინება ქალს უბედურებასა და გლოვას მოუტანს.
- (1) 16. რომელ სტრიქონში იყენებს ავტორი მეტაფორას? (გაითვალისწინეთ ლექსის კონტექსტი)
ა) „და ბეჭდების თვლებს ქარში კარგავდა“.
ბ) „ვარდთა დიოდა ნელი სურნელი“.
გ) „ქუჩაში მძაფრი დაჰქროდა ქარი“.
- (1) 17. რა ფუნქცია ეკისრება ამ ლექსში უამინდობის სურათს?
ა) მკითხველმა უფრო მძაფრად უნდა აღიქვას ლირიკული გმირის რწმენის ტრაგედია.
ბ) მკითხველმა უფრო მძაფრად უნდა აღიქვას ლირიკული გმირის სიყვარულის ტრაგედია.
გ) მკითხველმა უფრო მძაფრად უნდა აღიქვას ლირიკული გმირის უსამშობლობის ტრაგედია.
- (1) 18. რის დანახვა უმძაფრებს ლირიკულ გმირს სასოწარკვეთილების განცდას?
ა) სწორი ვერხვების.
ბ) არწივის ფრთების.
გ) სატროფოს სახლის.
- (1) 19. რას ადარებს ავტორი ლირიკული გმირის ბედს?
ა) ბნელხმიანი ფოთლების შრიალს.
ბ) ქარისაგან წარხვეტილ ნამქერს.
გ) სანდომიანი ცის ელვას.
- (1) 20. რა მიზნით იხსენიებს ავტორი საკუთარი შემოქმედების ნიმუშებს?
ა) იგი გვაგონობინებს, რომ მისი შემოქმედება გაუგებარი დარჩა.
ბ) იგი გვაგონობინებს, რომ მხოლოდ სატროფოსათვის იღვწოდა.
გ) იგი გვაგონობინებს, რომ შთაგონებამ სამუდამოდ მიატოვა.
- (1) 21. რისთვის სჭირდება ავტორს შექსპირის პერსონაჟის მოხსენიება?
ა) იმ აზრის გამოსახატავად, რომ ლირიკული გმირი მარტოსულია.
ბ) იმ აზრის გამოსახატავად, რომ ლირიკული გმირი კვდება.
გ) იმ აზრის გამოსახატავად, რომ ლირიკული გმირი შემოქმედია.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულნი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, **დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამომვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 24.

გააანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ლირიკული გმირის სულიერი მდგომარეობის შესახებ;
 - იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი;
 - იმსჯელეთ, რა პოეტური საშუალებებით აღწევს ავტორი მხატვრულ ეფექტს.
- თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!***

შეფასების სქემა

I. ქართული ენა

(4) 1.

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ

- | | | | | | | | | | |
|----|--------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|--------------------------|-------------------------------------|
| 1. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |
| 3. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

(4) 2.

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ

- | | | | | | | | | | |
|----|--------------------------|--------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|--------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| 1. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

(10) 3. I II
შეცდ. უშეცდ.

- | | | |
|-----|-------------------------------------|-------------------------------------|
| 1. | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |
| 2. | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |
| 3. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 5. | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |
| 6. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 7. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 8. | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |
| 9. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 10. | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |

14) 4. აღმასი ყველაზე ძვირფასი ქვაა. მისგან ოდიტგანვე სამკაულებს ამზადებდნენ. მეცნიერებს მრავალი წლის(1) წინ დაუსახავთ(2) მიზნად ხელოვნური აღმასის შექმნა(3) რადგან(4) ეს ქვა რთული მოსაპოვებელი იყო. დღეს აღმასი გამოიყენება(5) წარმოებაშიც. იგი სიმკვრივით იმდენად გამოირჩევა(6) რომ აღმასის ხერხით ძვირფას ქვებსაც კი ჭრიან(7).

ველური ტომების ბელადებს სწამდათ(8) რომ აღმასს შეეძლო მტრისაგან(9) მათი დაცვა და ამიტომ უმნიშვნელოვანესი (ძალზე მნიშვნელოვანი)(10) ბრძოლის წინ მას თავსაბურავზე იმაგრებდნენ. აღმასი სიმბოლურად სრულყოფილებასა და უძლეველობას ასახიერებდა (განასახიერებდა)(11).

5. მაქსიმალური ქულაა – 8.

შეფასების კრიტერიუმები

I. კრიტერიუმი

№	ტექსტის ორგანიზება	ქულები
1.	ტექსტი ადეკვატურადაა ორგანიზებული და პასუხი გაცემულია ორივე მითითებაზე.	2
2.	ტექსტი ადეკვატურადაა ორგანიზებული, მაგრამ პასუხი გაცემულია მხოლოდ 1 მითითებაზე ან ტექსტი ნაწილობრივ ადეკვატურადაა ორგანიზებული და პასუხი გაცემულია ორივე მითითებაზე.	1
3.	ტექსტი ნაწილობრივ ადეკვატურადაა ორგანიზებული და პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ მითითებაზე ან დავალება არაადეკვატურადაა გაგებულნი.	0 ნაწერი არ სწორდება

II. კრიტერიუმი

№	დასაბუთება	ქულები
1.	კარგად არის დასაბუთებული ორივე მითითება.	2
2.	კარგად არის დასაბუთებული ერთი მითითება და მეორე – ნაწილობრივ.	1
3.	ნაწილობრივ არის დასაბუთებული ორივე მითითება.	0

III. კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	1
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია და ტექსტი სტილისტურად გაუმართავია.	0

IV. კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	ქულები
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	2
2.	არ არის დაშვებული ხუთზე მეტი შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ხუთზე მეტი შეცდომა.	0

V. კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	ქულები
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	1
2.	დაშვებულია ორზე მეტი შეცდომა.	0

II. ქართული ლიტერატურა

6. არგუმენტი – „ვერ ეგების ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაი...“ – ეფრემმა მოიშველია თავისი პოზიციის გასამყარებლად. ეფრემის სიტყვებში – „არა ვარ... არსენის ცხოვარი და არცა იგი – ჩემი მწყემსი“ – გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმება, რომ არსენს ეფრემი თავის მოძღვრად (კათალიკოსად, ეკლესიის მეთაურად...) არ მიიჩნევდა. ეფრემის პოზიციის შეცვლა განაპირობა გრიგოლის მუქარამ (იმან, რომ ეფრემი მოერიდა მოძღვრის რისხვას...). „განმკუთეულ უფროის მახვილისა“.

1. იმის დასამტკიცებლად, რომ ეპისკოპოსთა პოზიცია სამართლიანი იყო _____1
2. ეფრემი არსენს არ ემორჩილებოდა _____1
3. ეფრემი შეაშინა გრიგოლის მუქარამ _____1
4. „განმკუთეულ უფროის მახვილისა“ _____1

7. დედოფალი ამბობს, ხვარაზმშა ძლიერი (მდიდარი, დიდი ძალაუფლების მქონე...) მეფეაო. ის, ტარიელი, დედოფალს ვერ შეეკამათა, რადგან ასეთი იყო დედოფლის სურვილი და შეცდილებას (წინააღმდეგობის გაწევას) ვერავინ გაუბედავდა. ჩვენი სამეფო უმემკვიდროდ დარჩა (ტახტის მემკვიდრე აღარ არის სახელმწიფოში). ხვარაზმშასთვის შეთვლილ სიტყვებში არ ჩანდა, რომ ინდოეთს ჰყავდა სამეფო გვარის წარმომადგენელი – ტარიელი (ფარსადანმა დაუმაღლა ხვარაზმშას, რომ ოდესღაც თვითონვე დაპირდა სარიდანს სამეფო ტახტს ტარიელისთვის).

1. ხვარაზმშა ძლიერი მეფეა _____1
2. დედოფალს ასე უნდოდა _____1
3. სამეფოში მემკვიდრე არ არის _____1
4. ტახტის მემკვიდრე ტარიელი იყო _____1

8. დავითმა თავმესაფარი იპოვა ელვის მეშვეობით. „გამოქობილის“ მსგავსი მნიშვნელობის გამოთქმაა „მთა-ხვრელს ლოდგაძრობილსა“. ავტორი მადლობას უხდის იესო ქრისტეს (ღმერთს...).

1. ელვის _____1
2. „მთა-ხვრელს ლოდგაძრობილსა“ _____1
3. ქრისტეს _____1

9. ბანოვანის შეხედულებით, სიყვარული არ არის მარადიული (ბანოვანს არ სწამს სიყვარულის მარადიულობა...). მშვენიერი სულის თვისებას გამოხატავს სიტყვა „უკვდავება“. ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელია: ჭეშმარიტ სიყვარულს მშვენიერ სულთა კავშირი წარმოშობს (ჭეშმარიტი სიყვარული მარადიულია, ჭეშმარიტ სიყვარულს ვერაფერს დააკლებს დროის დინება, ჭეშმარიტ სიყვარულს ღვთაებრივი მადლი ახლავს...). ეს ტექსტი მიეკუთვნება რომანტიზმს.

1. სიყვარული მარადიული არ არის _____1
2. უკვდავება _____1
3. სიყვარულს სულთა კავშირი წარმოშობს _____1
4. რომანტიზმი _____1

10. სიტყვებს: „ცივილიზაცია, ასოციაცია, არღუმენტაცია...“ რუსი ოფიცერი ჩამოთვლის საკუთარი განათლებულობის წარმოსახენად (ცდილობს თანამოსაუბრე დაარწმუნოს საკუთარ განათლებულობაში; ცდილობს თავისი უპირატესობა დაუმტკიცოს გაუნათლებელ ქართველს...). რუს ოფიცერს ქვეყნის განათლების აუცილებელ პირობად წარმოუდგენია საქართველოში რუსი ოფიცრებისა და ჩინოვნიკების ჩამოსვლა. რუს ოფიცერს ახასიათებს სხვათა ნაკლის აღსანიშნავად ნათქვამი – გაუნათლებლობა (არათანამიმდევრული მსჯელობა, ალოგიკური და ზერეულე მსჯელობა...). ოფიცრის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების წარმოსახენად ავტორი იყენებს ირონიას.

- 1. საკუთარი განათლებულობის (უპირატესობის...) -----1
- 2. რუსი მოხელეების ჩამოსვლა -----1
- 3. „რიგიანი სჯა“ რომ არ იცის -----1
- 4. ირონია -----1

11. კვირია მცველების მოსატყუებლად ასეთ ხერხს იყენებს: თითქოს ყაენისათვის საჩუქრად ლამაზი ქალი ჰყავს მიყვანილი. „გთხოვთ მანუგეშოთ მენაცა“. სინამდვილეში კვირიას მიზანია ქართველებისათვის ციხის კარების გაღება (ქართველი მოლაშქრეების შეშვება ციხეში...). მოცემულ მონაკვეთში ვლინდება კვირიას თავდადება (თავგანწირვის უნარი, პატრიოტიზმი, სიმამაცე, საზრიანობა...).

- 1. თითქოს მტერს საჩუქრად ლამაზ ქალს სთავაზობს ----- 1
- 2. „გთხოვთ მანუგეშოთ მენაცა“ -----1
- 3. ციხის კარების გაღება -----1
- 4. გაუკაცობა -----1

12. ორსიტყვიანი მეტაფორული გამოთქმა არის – „თვალეში ჩაძვრა“. ელის ამოძრავებს სამშობლოში დაბრუნების სურვილი (თბილისის ნახვის სურვილი, ნოსტალგია...). ბრომლეის მიზანია ელის ხელში ჩაგდება (ელის მოპოვება, ქალის მოხიბვლა...). ამ ტექსტში ჩანს ბრომლეის მიზანმიმართულობა (შეუპოვრობა დასახული მიზნის მიღწევის გზაზე...).

- 1. „თვალეში ჩაძვრა“ -----1
- 2. სამშობლოს მონატრება -----1
- 3. ელის გულის მოგება -----1
- 4. მიზანდასახულობა -----1

III. წაკითხულის გააზრება (№1 და №2 დავალებები)

- 13. ა) -----1ქ. 14. ა) -----1ქ. 15. ა) -----1ქ. 16. ა) -----1ქ. 17. ბ) -----1ქ.
- 18. გ) -----1ქ. 19. ბ) -----1ქ. 20. ბ) -----1ქ. 21. ა) -----1ქ.

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **24**. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება, ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

I კრიტერიუმი

№	დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება	ქულები
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებულ, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	4
2.	დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებულ.	3
3.	დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებულ და გააზრებული, თუმცა ერთ შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან/და ტექსტის არაადეკვატური გაგება.	2
4.	ერთზე მეტ შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებულ.	1
5.	ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულ.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	ნაშრომის აგება	ქულები
1.	ნაშრომი უპასუხებს სამივე მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ პასუხი მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება გაცემული.	3
2.	ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს სამ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	2
3.	ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
4.	ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

№	მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება	ქულები
1.	მსჯელობა <i>სამივე</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.	6
2.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	5
3.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული).	4
4.	მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>ორ</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	3
5.	მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, <i>მეორე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული).	2
6.	<i>სამივე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	1
7.	<i>ორი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული.	0

IV კრიტერიუმი

№	ტექსტის მხატვრული თავისებურებები	ქულები
1.	ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.	2
2.	ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ მსჯელობა არ არის დასაბუთებული კონკრეტულ მაგალითებით.	1
3.	ნაშრომში არ არის <i>გამოყოფილი</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები.	0

V კრიტერიუმი

№	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ქულები
1.	ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	0

VI კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი.	2
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	1
3.	თხზულება სტილისტურად გაუმართავია.	0

VII კრიტერიუმი

№	სინტაქსური კონსტრუქციები	ქულები
1.	ნაშრომში დაშვებულია <i>ერთი</i> სინტაქსური შეცდომა.	2
2.	ნაშრომში დაშვებულია <i>ორი</i> სინტაქსური შეცდომა.	1
3.	ნაშრომში დაშვებულია <i>ორზე მეტი</i> სინტაქსური შეცდომა.	0

VIII კრიტერიუმი

№	<i>მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია</i>	<i>ქულები</i>
1.	არ არის <i>ოთხზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	არ არის <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0

I. ქართული ენა

(4) 1. შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელი ფრაზეოლოგიზმები შეესაბამება ტექსტში ხაზგასმულ სიტყვებს.

- ა) გულთან მიტანა; ბ) გულში ჩაგარდნა; გ) თავზარის დაცემა; დ) თავის გამოდგება;
 ე) თავის დაძვრენა; ვ) მუსრის გაღება; ზ) მხარის დაჭერა; თ) მხრების ჩამოყრა;
 ი) ხელის მოთბობა; კ) ხელში ჩაგდება.

იასონი მეგობრების თანხლებით აიეტს ესტუმრა. როდესაც მეფემ მისი განზრახვა შეიტყო, განრისხდა. იასონი მიხვდა, რომ ოქროს საწმისს იოლად ვერ (1)მოიპოვებდა. მედეა მოიხიბლა სტუმრის სილამაზით და თვალს არ აშორებდა მას. მეფის ასულს (2)შეუყვარდა მშვენიერი ჭაბუკი და ვერ გადაეწყვიტა, ვის (3)მიმხრობოდა – მამას თუ იასონს. მედეას დახმარებით იასონმა (4)ამოხსოვდა მეფის მეომრები, ოქროს საწმისი ჩამოხსნა და ხომალდს მიაშურა.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების შესაბამისი ნომრების გასწვრივ მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(4) 2. კონტექსტის გათვალისწინებით შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია ტექსტში ხაზგასმული სიტყვების შესაფერისი ანტონიმები.

- ა) განიერი; ბ) ვეებერთელა; გ) ვრცელი; დ) ზორბა; ე) მკვეთრი; ვ) მძაფრი;
 ზ) რბილი; თ) სველი; ი) ტენიანი; კ) უხვი.

ტროპიკული ტყეები გამოირჩევა (1)მშრალი კლიმატით. აქ (2)მცირე ნალექიანობის გამო ფიკუსის 600-მდე სახეობა ხარობს. ფიკუსი (3)პაწაწინა ხეა. აქვს (4)ვიწრო ფოთოლი, რომლის სიგრძე ერთ მეტრს აღწევს.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების შესაბამისი ნომრების გასწვრივ მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(10) 3.

ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები. ხუთ წინადადებაში თითო-თითო შეცდომაა, ხუთი წინადადება უშეცდომოა. თუ წინადადებაში შეცდომაა დაშვებული, აღნიშვნა **X** გააკეთეთ პირველი რიგის შესაბამის უჯრედში, ხოლო თუ წინადადებაში შეცდომა არაა, აღნიშვნა **X** გააკეთეთ მეორე რიგის შესაბამის უჯრედში.

	I შეცდ.	II უშეცდ.
1. ცნობილი ფერმწერი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი დავით კაკაბაძე დაიბადა იმერეთის სოფელ კუხში 1889 წელს.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. 1910 წელს იგი ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და პარალელურად სამხატვრო სტუდიაშიც სწავლობდა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტობის წლებში დავით კაკაბაძემ ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო ძველი ქართული ხელოვნების შესწავლა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. ახალგაზრდა მკვლევარი შეეცადა ჩაწვდომოდა შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხატების ორნამენტების საიდუმლოს.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სამშობლოში დაბრუნებულმა მხატვარმა შექმნა არაერთი ფერწერული შედეგ-რი, რომელთაგან გამოირჩევა იმერული პეიზაჟები.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. 1919-1927 წლებში იგი ცხოვრობდა პარიზში, სადაც იმ პერიოდში მოღვაწეობ-დნენ საქართველოდან წარგზავნილ მხატვართა ახალი თაობა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. დავითი თანამემამულეებთან ერთად მონაწილეობდა გამოფენებში, კითხულობ-და ლექციებს, აქვეყნებდა ნაშრომებს თანამედროვე ხელოვნების შესახებ.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. სამშობლოში დაბრუნების თანავე მან კოტე მარჯანიშვილთან დაიწყო თანამ-შრომლობა და რამდენიმე სპექტაკლი გააფორმა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. დავით კაკაბაძე სამართლიანად ითვლება ქართული თეატრალურ-დეკორაცი-ული ხელოვნების ერთ-ერთ ფუძემდებლად.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. 1943 წლიდან იმერეთის თემატიკას კვლავ დაუბრუნდა მხატვარი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(14) 4. ტექსტში დაშვებულია სულ 11 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუა-ციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. **გაასწორეთ** ეს შეცდომები და ხარვეზები და **ისე გადაწერეთ ტექსტი**, რომ არც ერთი წინადადების შინაარსი არ შეცვალოთ. თუ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში არ იქნება არც ერთი შეცდომა, დამატებით მოგეცე-მათ 3 ქულა.
(*გაითვალისწინეთ*, ერთ წინადადებაში შეიძლება შეგხვდეთ ერთზე მეტი შეცდომა ან ხარვეზი.)

გიშერი შავი ფერის ქვაა. ძველ ეგვიპტეში მისგან ნელსაცხებელთა კოლოფებს სთლიდნენ. გიშერის სამკაულები მრავალ ქვეყნებში არის გავრცელებული. ამჟამად იგი წარმოებაშიც გა-მოიყენება და ადგილი აქვს მისგან ზუსტი ხელსაწყოების ნაწილების დამზადებას.
უძველესი დროიდან გიშერს ძალზე უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ჰქონდა. ითვლებოდა რომ იგი ადამიანებს უარყოფითი ენერჯისაგან იცავდა. გიშერი ბევრჯერ დაუწვიათ კიდევ რათა ფიქრობდნენ, რომ ამით ბნელ ძალებს ნდევნიდნენ ოჯახებიდან. ჩვენში დღესაც შეამჩნევთ ჩვი-ლის საწოლზე დამაგრებულ გიშერს რომელსაც მშობლები საუკეთესო თილისმად თვლიან.

II. ქართული ლიტერატურა

(4) 6. იაკობ ხუცესი მოგვითხრობს:

და ვითარცა იხილა დიდძალი იგი სისხლი, რომელი დამოსდიოდა ჩხვილთა მათ ხორცთა მისთა, მაშინ უბრძანა დადებად ჯაჭვი ქედსა მისსა. და უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, რაითა წარიყვანონ წმიდაი შუშანიკ ციხედ და საპრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი, და მოკუდეს.

ღიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაი დგა წმიდისა შუშანიკის თანა მას ჟამსა, რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა, რაითამცა ჰრქუა, თუ – „მტკიცედ დეგ!“ – და თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხუაი ვერღარაი სცაღდა სიტყუად, ესთენ ოდენ რქუა: „მტკი...“ და დადუმნა ხოლო და სივეტოლად იწყო სწრაფით.

1. დაასახელოთ ვარსკენის თვისება, რომელიც პირველ წინადადებაში ვლინდება.
2. გადმოეცით, რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა, ვარსკენის სიტყვით, დედოფლის დატყვევებას.
3. განმარტეთ, რა სურვილი ამოძრავებდა ღიაკვანს. (ციტირება დაუშვებელია!)
4. განმარტეთ, რა განცდამ შეუშალა ხელი ღიაკვანს საკუთარი განზრახვის განხორციელებაში.

(4) 7. ვეზირი განრისხებული როსტევანის დარბაზიდან გამოვიდა:

რა გამოვიდა, ვაზირმან ძებნნა, ვერ პოვნა მინანი,
მართ გაპარვასა უთხრობდეს მონანი, ცრემლთა მდინანი.

მან თქვა: „მე დარბაზს ვერ შევალ, მახსოვან დღენი წინანი,
ვინცაღა ჰკადრებს, მან ჰკადროს; რაცა ვთქვი, მასცა ვინანი“.

რა ვაზირი არ შევიდა, კვლა მეფემან კაცი გზავნის;
კაცმან ცნის და გარეთ დადგის, წასვლა ვერვინ გაამჟღავნის;
როსტანს ეჭვი შეუვიდა, ჰმუნვა ამით გაათავნის;

თქვა: „უცილოდ გაიპარა, ვინ მარტომან ასთა ავნის!“

1. გადმოეცით თქვენი სიტყვებით, რა ამბავი დაახვედრეს მონებმა ვეზირს.
2. განმარტეთ, რატომ თქვა ვეზირმა: „მე დარბაზს ვერ შევალ“. (ციტირება დაუშვებელია!)
3. გაიხსენეთ, რა უთხრა მეფეს ვეზირმა ისეთი, რაც შემდეგ სანანებელი გაუხდა.
4. განმარტეთ, როსტევანის რა სულიერი მდგომარეობა ვლინდება ამ მონაკვეთში.

(3) 8. დავით გურამიშვილი გვიამბობს:

სეტყვამ გარდილო, გამოველ, უფალსა მსხვერპლი შევსწირე.
არ მყვანდა სამღთოდ ზვარაკი, მხურვალეს გულით შევსტირე.
არც მაქვნდა სამღთო წერილი, ცოდნაცა მაქვნდა მე მცირე,
„ღმერთო, დამიხსენ მტერთაგან!“ – ეს ლოცვა გავიზეპირე.

1. განმარტეთ, რა იგულისხმება გადატანითი მნიშვნელობით სიტყვებში: „უფალსა მსხვერპლი შევსწირე“.
2. განმარტეთ, რატომ იყო დავითისათვის მტკივნეული ის ფაქტი, რომ ხელთ არ ჰქონდა „სამღთო წერილი“.
3. განმარტეთ, რომელ „მტრებს“ შეიძლება იგულისხმობდეს გურამიშვილი.

(4) 9. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „შემოდამება მთაწმინდაზედ“ ვკითხულობთ:

ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დანჩეული!
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ, და ჰაერშივე განიბნევიან!

მე, შენსა მჭკრეტელს, მაგიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს,
ხენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...

მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!

1. ამოიწერეთ ეპითეტი, რომელიც ხილულ ცას მიემართება.
2. განმარტეთ, რა მიზნით მოისწრაფვის ავტორი მიღმური სამყაროსაკენ.
3. თქვენი სიტყვებით გადმოეცით ბოლო სტრიქონის აზრი.
4. დაასახელოთ ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც მიეკუთვნება ეს ტექსტი.

(4) 10. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „მგზავრის წერილები“ ავტორი გადმოგვცემს რუსი ოფიცრისა და მგზავრის დიალოგს:

– ოციოდ მართალი გენერალი! ბარაქაღა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დი-

დება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას. სულ რამდენი წელიწადია, რაც რუსეთი აქ შემოვიდა?

– იქნება სამოცდაათი.

– შვიდს წელიწადში ორი გენერალი? დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია არის. მერე როგორი გენერალი?! მართალი გენერალი! თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ვერ იარა, სამოც-და-ათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი შეიქმნება. დიდი საქმეა. მე ეგ არ ვიცოდი. ან საიღამ უნდა შემეტყო? სულ არ იქნება სამი წელიწადი, რაც ამ ქვეყანაში ვარ.

1. *განმარტეთ*, რა კრიტერიუმით ზომავს რუსი ოფიცერი ქვეყნის განვითარების დონეს.
2. *განმარტეთ*, საქართველოს მიმართ რუსი ოფიცრის როგორი დამოკიდებულება ჩანს ამ მონაკვეთში.
3. *დაასახელოთ* არგუმენტი, რომელსაც იშველიებს რუსი ოფიცერი იმის ასახსნელად, რომ ქვეყანას კარგად არ იცნობს.
4. *განმარტეთ*, ოფიცრის რა უმთავრეს თვისებას წარმოაჩენს ავტორი ამ მონაკვეთში.

(4) 11. **ვაჟა-ფშაველას პოემაში „აღუდა ქეთელაური“ მინდია მიმართავს ხევსურებს:**

„ახლებო, სისხლი გიფუისთ,
სჭრითა და ჰკერავთ გულითა,
გულს ათრევენებთ გონებას,
თავს აჭრევენებთ ცულითა, –
ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა
მის ვაჟკაცურის რჯულითა!
ერთურთს ნუ დააჩაგვრინებთ,
გული-დ გონება ძმანია.
მართალი არი აღუდა,
თავს არ დამექცნენ ცანია!
თუ არა გჯერათ, ქისტისა,
აი, მოჭრილი მკლაგია!“

1. *განმარტეთ*, რას საყვედურობს მინდია ახალგაზრდა ხევსურებს. (ციტირება დაუშვებელია!)
2. *დაასახელოთ* აღუდას თვისება, რომელზედაც ყურადღებას ამახვილებს მინდია. (ციტირება დაუშვებელია!)
3. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც დაფიცებაა გადმოცემული.
4. *განმარტეთ*, რა არის მინდიას მიზანი.

(4) 12. **ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“:**

მეფე გაცოფდა, აზვავდა, წონასწორობა დაჰკარგა ეროსისაგან გახელებულმა... თრიაქით დამთვრალიყო გიორგი, მელქისედეკი ეწვია იმავე საღამოს. კათალიკოსმა რა გაიგო, მკრეხელური სურათი დაუხატავსო არსაკიძეს, ღაზს, მოაგონდა თავისი ქადაგება სამთავროს ტაძარში, წარმართობის შიშმა წამოუარა ისევ და ხელი აიღო ხუროთმოძღვრის დაცვაზე. მეორე დღეს მელქისედეკი ბიზანტიონს მიმავალ სტუმრებს გაჰყვა დიდის ამალით... განრისხებულმა გიორგიმ სვეტიცხოვლის „ცუდად ამგებელს“ მკლავის მოკვეთა მიუსაჯა. როცა დასიცხულ ავადმყოფს მარჯვენა წააცალა ტფილისელმა ჯალათმა, თვით საღირასაც ცრემლი ჩამოსდინდა ერთადერთი თვალიდან.

1. *განმარტეთ*, მეფის რა სულიერი მდგომარეობაა ასახული ამ მონაკვეთში. (ციტირება დაუშვებელია!)
2. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით, რატომ არ დაიცვა მელქისედეკმა არსაკიძე.
3. *ამოიწერეთ* ორი სიტყვა, რომლებშიც ჩანს ხუროთმოძღვრის ნიჭის დაუფასებლობა.
4. *განმარტეთ*, რის მინიშნება სურს ავტორს სიტყვებით: „თვით საღირასაც ცრემლი ჩამოსდინდა“.

III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება № 1

ყურადღებით წაკითხეთ ნაწყვეტი პოეტიკური ნაშრომის მოთხრობიდან „ფერადი ბუშტები (სანტიმენტალური ამბავი)“:

პარიზში მათხოვარს ოთახი იშვიათად აქვს. მისი ბინა არის კათედრალის – ნოტრ დამის, სანსუპლისის – გალაენების, ღამე სძინავთ სენის ხიდებს ქვეშ. დღისით მათხოვრები აგროვებენ პაპიროსის ნამწვავებს. ქუჩაში დაფანტულ ქაღალდებს, ძონძებს.

ქუჩებში აკრძალულია – მათხოვრობენ ეზოებში. ზოგი ატყუებს ქუჩის აჟანს. დაიჭერს ერთ ძველ გაზეთს „ლა პატრის“, თითქოს გამყიდველია და მხოლოდ საიმედო გამყიდველს გაუმჟღავნებს თავის საიდუმლოებას.

სალამოს სენის ნაპირები სავსეა მათხოვრებით. სენა მწვანედ არის ამღვრეული, როგორც აბსენტი. წყლის ზედაპირი ელვარებს ქონით, მაზუთით. თეთრი გედებივით მიჰქრის პატარა გემები და ნაგები. სენის ხიდებქვეშ დიდი ხმაურობაა... უმეტესობა კამათობს ომზე, რევოლუცი-აზე, ჟორესის მკვლელობაზე. ყველაზე ცნობილი მათ შორის არის გასტონ დელაროშ, რომელსაც მეგობრებმა „ფალიერი“ დაარქვეს: ჰგავს ყოფილ პრეზიდენტს.

როდესაც ის დაინახავს უცხო სტუმარს, ხიდის ქვეშ ჩამოსულს, მივა და ეტყვის:

– თქვენ ალბათ ნორვეგიიდან ჩამოსული ტურისტი ხართ, ან ესპანელი მომღერალი, გაინტერესებთ პარიზი და ჩვენი ცხოვრება. მე გახლავართ გასტონ დელაროშ, კეთილშობილი მათხოვარი, მცხოვრები სენის ნაპირას, დეპუტატ ჟორესის მეგობარი და მისი ამომრჩეველი.

ამის შემდეგ ის დაგიმტკიცებთ, თუ რა ადვილია უცრად გამათხოვრება. შემდეგ ამაყად იტყვის: ამაღამ სიცივე იქნება, გათენებისას აქ ყოველთვის ძალიან ცივა. მე თქვენი ფული არ მინდა, გაიარეთ აქედან კაფე „პასკალში“ და დაუკვეთეთ ჩემთვის ორი ჭიქა პუნში, ხვალ დილით მივალ და თქვენს სადღეგრძელოს დავლევ.

ფალიერი ყველაზე ბევრს კამათობს. ყოველდღე კითხულობს „ლუმანიტეს“, იცის პოლიტიკა, ეჯავრება როიალისტები და წინააღმდეგია ბერლინის ოკუპაციის. კონკორდიის მოედანზე აღტაცებით უხდის ქუდს ელზასისა და ლორენის ძეგლებს და ზიზღით იხსენიებს ბისმარკს, რომელმაც „რკინის ყუთში ჩაჰკეტა ელზასისა და ლორენის აყვავებული ბაღები“. ის მეთაურობს კავშირს „სენის მათხოვრებისას“ და სასტიკად დევნის ქურდებს მათხოვართ შორის.

როდესაც ცივი ზამთარია, ბევრი მათხოვარი კვდება სენის ხიდებქვეშ.

ავადმყოფები სიცივეს და შიმშილს ვერ უძლებენ, ღამე ადგება ავადმყოფი, გადაიძრობს გაზეთს, რომელიც მას საბნად ახურავს, მივა მდინარის ნაპირას და წყალში გადავარდება. ამას ბევრი ხედავს, მაგრამ ადვილიდან არავინ დაიძვრის. ავადმყოფი მათხოვარი გადავარდება წყალში, და რადგან მას არავინ შევლის, იხრჩობა.

ერთ ღამეს მე, ილია ერენბურგი და გიომ აპოლინერი ვეწვიეთ მათხოვრების ბანაკს ალექსანდრე მესამის ხიდის ქვეშ. მაშინ ომი დაწყებული იყო და ბანაკი ნამდვილ პარლამენტს ჰგავდა. იყო კამათი და თავმჯდომარეც იყო. ერთი მათხოვარი, ყოფილი კონსიერჟი ქიმიური ლაბორატორიისა, უხსნიდა დანარჩენებს „მახრჩობელა გაზეთის მნიშვნელობას“. გაზეთის გამოგონება ყველას აბრაზებდა, რადგან ის ხელს შეუწყობდა მათხოვრობის გავრცელებას საფრანგეთში. ღამის ორი საათი იყო, კამათი არ თავდებოდა. ყველას შიოდა.

ათი მათხოვარი მე, აპოლინერმა და ერენბურგმა წამოვიყვანეთ კაფე „ალა როტონდაში“ სავახშოდ. „როტონდა“ ჩვენი მეგობრებით იყო სავსე და მათხოვრების დანახვამ აღტაცება გამოიწვია.

მსხვილი რიბეირა, ესპანელი მხატვარი, ნახევრად ტიტველი იყო, რადგან სიცხე აწუხებდა. მან სათითაოდ გადაჰკოცნა ჩვენი სტუმრები, მივიდა ერთ ცნობილი მხატვრების მეცენატთან, რომელიც დადიოდა „როტონდაში“ და ცდილობდა ხელში ჩაეგდო ზანგის ქალი ჯელიკა, ღამაზი და თევზივით მოქნილი. რიბეირა მოვიდა მეცენატთან, მაგრამ დაჰკრა ჯოხი კატელოკზე და უბრძანა ვახშმის გაწყობა. მეცენატს ეტკინა თავი, მაგრამ გაიცინა და ვახშამი გაამართვინა.

მათხოვრები, პოეტები და მხატვრები მეცენატის სტუმრები ვიყავით. დიასახლისებად ავირჩიეთ ჯელიკა და მარვენა, მხატვარი ქალი, პარიზში თბილისიდან ჩამოსული. პირველად რიბეირამ ადღეგრძელა მეცენატი და უკანასკნელის ხარჯზე უბრძანა კაფეს პატრონს ხუთ-ხუთი ფრანკი გადაეცა თითო მათხოვრისათვის. ბრძანება შესრულდა. მეცენატს ეწყინა, მაგრამ ხელზე აკოცა ჯელიკას.

შემდეგ ჯელიკამ თქვა: „ამხანაგებო, ჩვენ გვეწვივნენ „სენის მოქალაქენი“, ასეთი სურათი ჯერ ჩვენს როტონდას არ ახსოვს. ჩვენ შორის დღეს არ არის ის, ვინც გაოცდება ამ სურათით – მისცემს მას უკვდავებას. ჩემი წინადადებაა გაეფხავნოს ავტომობილი პაბლო პიკასოს და ეთხოვოს აქ მოსვლა“. აპოლინერმა ჯელიკას ტუჩებში აკოცა, მაგრამ ავტომობილი ცარიელი დაბრუნდა: წინა დღით პიკასო ფრონტზე წასულიყო.

როდესაც მათხოვარი ემილ ადერი ადგა სიტყვის სათქმელად, მოხუცებული და კეთილი „როტონდის“ გარსონი ლუი მივიდა მასთან, ატირდა და თქვა:

– ბატონო ემილ, ნუთუ ვერ მიცანით, მე ვარ ლუი გარსონი კაფე „რიშიდან“. ბევრი ლუიდორი მახსოვს თქვენგან ნახუქარი. დიდი ხანია გავიგე თქვენი დაცემა, გაღარიბება. მე უცოლო ვარ და კარგი ოთახი მაქვს. გადმობრძანდით ჩემთან ბინაზე...

– და ახლა კი, ბატონებო, ნება მიბოძეთ, – მოიწმინდა ცრემლები ლუიმ, – ბატონ ემილ ადერის პატივსაცემად მოგართვათ ექვსი ბოთლი ბურგუნდიისა.

ემილ ადერმა სიტყვა ველარ თქვა, ენა დაება, ჩაეკრა მოხუცებულ კეთილ ლუის და ორივე წავიდნენ მეორე ოთახში წარსულის დასატირებლად. ამ სურათის დანახვაზე, ახალგაზრდა პოეტმა ალბერტ ჟანმა ლექსი დაწერა და გადასცა ერენბურგს რუსულად სათარგმნელად. როდესაც გათენდა, მე გამოვეთხოვე პარიზელ მეგობრებს და იმ დღესვე წამოვედი საქართველოში.

„როტონდის“ უკანასკნელი ღამე დღემდე არ დამვიწყებია, მახსოვდნენ სენის მათხოვრები.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული სამ-სამი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 13. რა არის პირველი აბზაცის ფუნქცია?
 - ა) ჩვენება ზოგადი სიტუაციისა, რომელიც ტექსტის მომდევნო ნაწილშია დაკონკრეტებული.
 - ბ) პარიზის ღირსშესანიშნაობათა ჩვენება, რაც ტექსტის ემოციურ ფონს ქმნის.
 - გ) ჩვენება სოციალური პირობებისა, რომლებიც მათხოვართა ფენას წარმოშობს.
- (1) 14. რატომ უმჯობესებს მხოლოდ „საიმედო გამგელს“ პარიზელი მათხოვარი „თავის საიდუმლოებას“?
 - ა) იმიტომ, რომ ეშინია რომელიმე პოლიციელმა არ დააკავოს.
 - ბ) იმიტომ, რომ თავმოყვარეობა ხელს უშლის მას იმათხოვროს.
 - გ) იმიტომ, რომ ნაცნობებმა არ გაიგონ მისი გაღარიბების შესახებ.
- (1) 15. რას მიგვანიშნებს ავტორი ფრაზით: „უმეტესობა კამათობს ომზე, რევოლუციაზე, ეორესის მკვლელობაზე“?
 - ა) პარიზელი მათხოვრები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში.
 - ბ) პარიზელი მათხოვრები შორს არიან პოლიტიკური ცხოვრებისაგან.
 - გ) პარიზელ მათხოვრებს აინტერესებთ პოლიტიკური ცხოვრება.
- (1) 16. გასტონ დელაროშის რა თვისება ჩანს მისსავე სიტყვებში?
 - ა) არტისტულობა.
 - ბ) გონიერება.
 - გ) ქედმაღლობა.
- (1) 17. რატომ არ შევლიან მათხოვრები თავიანთ მოძმეს, როდესაც იგი წყალში გადავარდება?
 - ა) იმიტომ, რომ პატივს სცემენ უბედურის ნებას.
 - ბ) იმიტომ, რომ მათხოვრები დაუნდობლები არიან.
 - გ) იმიტომ, რომ ცხოვრებას საერთოდ არა აქვს აზრი.
- (1) 18. რატომ ბრახობდნენ მათხოვრები „მახრჩობელა გაზების გამოგონების“ გამო?
 - ა) მოსალოდნელი იყო, რომ გაზების გამოყენება მათ კონკურენტებს გაუჩენდა.
 - ბ) მოსალოდნელი იყო, რომ მსოფლიო ომის შედეგად კაცობრიობა განადგურდებოდა.
 - გ) მოსალოდნელი იყო, რომ სასიკვდილო საფრთხე სენის ნაპირებამდე მოაღწევდა.

- (1) 19. რა ამოძრავებდა მხატვრების მეცენატს, როდესაც მათხოვრებისათვის „ვახშამი გაამართვინა“?
- სურდა დახმარებოდა გაჭირვებულ და იმედდაკარგულ ადამიანებს.
 - სურდა მისთვის სიძუნწე არ შეეჭყოთ და ჯელიკას გული მოეგო.
 - სურდა ყველას გაეგო მისი სიკეთისა და ქველმოქმედების შესახებ.
- (1) 20. რა მიზნით სურდათ იმ საღამოს „როტონდაში“ პაბლო პიკასოს მიწვევა?
- მეგობრებთან ერთად პიკასოსაც რომ მიეღო მონაწილეობა ამ ქეიფში.
 - პიკასოს რომ დაეხატა მათხოვრების, პოეტებისა და მხატვრების ვახშამი.
 - შეძლებული მხატვრისათვის მათხოვართა დახმარება რომ ეთხოვათ.
- (1) 21. რას გვიჩვენებს ავტორი ემილ ადერისა და კეთილი ლუის ეპიზოდით?
- იმას, რომ ადამიანი სინამდვილეში ყოველთვის გულმოწყალეა.
 - იმას, რომ ადამიანმა გადარჩენის იმედი არ უნდა დაკარგოს.
 - იმას, რომ ოდესღაც გააკეთებული სიკეთე არ დაიკარგება.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაა დეკავრირებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 24.

გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ მათხოვრებისა და პოეტების უჩვეულო ურთიერთობის შესახებ;
- იმსჯელეთ ადამიანთა ურთიერთობაში სიკეთის მნიშვნელობის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ ემილ ადერისა და ლუის ეპიზოდს);
- ჩამოაყალიბეთ საკუთარი დამოკიდებულება ამ ტექსტის მიმართ და იმსჯელეთ, რა საშუალებებითაა მიღწეული მხატვრული ეფექტი.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ოთარ ჭილაძის პოემიდან „სინათლის წელიწადი“:

მე ათი წლის ვარ.

ომია ყველგან. არეულია მთელი ქვეყანა, ჩვენს ოჯახს უჭირს, ხოლო ქალაქში ჩვენი დარჩენა დაღუპვას ნიშნავს.

ჩავარდნილია მამა ლოგინად და, ავადმყოფი მეუღლის გარდა, სამი შვილი ჰყავს სარჩენი დედას.

„უნდა წავიდეთ, უნდა წავიდეთ, აქედან უნდა წავიდეთ ჩქარა“, – აღარ გვშორდება ეს ორი სიტყვა. თითქოს ეს ორი სიტყვაღა დარჩა და თითქოს მხოლოდ ამ სიტყვებს ძალუბთ ჩვენი უსაზღვრო ტანჯვის დატევა, ან თითქოს ძალუბთ, რომ აგვარიდონ: შიმშილს, სიცივეს და უმწეობას... და ყოველდღიურ შიმშსა და ხიფათს.

და ჩვენც მივდივართ.

ხალხის მდინარეს ჩვენი ოჯახიც ბაქანზე გაჰყავს.

მე ათი წლის ვარ და ჩემ გარშემო გამოლენჩებულ სახეებს ვხედავ, გამოლენჩებულს სიძულვილისგან, სიჩქარისაგან და შიშისაგან...

მე ათი წლის ვარ და ჩემს სხეულზე ვგრძნობ უხემ ხელებს და ის ხელები ჩემს გადაგდებას ცდილობენ გზიდან. და მეუფლება ისეთი გრძნობა, თითქოს ფორთოხლის პატარა ხე ვარ და თითქოს ძალით მგლეჯენ მიწიდან.

მომგლიჯეს კიდევ. ხოლო ფესვებზე მახვილებს ხალხი და მე პირველად ვგრძნობ ამგვარ ტკივილს და გაოცება ძრავს ჩემს არსებას... ხოლო ტკივილი სულში იბუდებს საფუძვლიანად, როგორც გამძლარი მხეცი ბუნაგში.

მე საყვედურით ვუყურებ დედას. დედა მიღიმის და თან უაზროდ ხელს მისვამს თავზე და მეუბნება: არაფერია, არაფერია, არაფერია, საცაა წავალთ.

მამა ვაგონში საკაცით შეჰყავთ და იქ ირკვევა, რომ მოუპარავთ ჩვენი საგზაღი. მე ათი წლის ვარ და უკვე ბრაზით მეკვრება სუნთქვა. ბრაზით და კიდევ იმ ცუდი გრძნობით, რომელსაც ჰქვია შეურაცხყოფა... და დამცირება.

და აი, მიდის მატარებელიც. და ყველაფერი თავს იყრის ერთად, რაც განვიცადა მე ათი წლის ბავშვმა. ის მალე ცრემლის ბურთად იქცევა და მომაწვება ყელში მტანჯველად.

ტლანქი საგნებით და სხეულებით სავსეა კუპე. მე კი სუსტი ვარ და ვერ

ვახერხებ მისვლას სარკმელთან, რომ ერთხელ კიდევ შევაფლო თვალი საყვარელ ქალაქს, რომელიც ბევრჯერ მომენატრება და ჩემს არსებას შეაჩვენებს სევდას.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული სამ-სამი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 13. რა ფუნქცია აკისრია პირველ ორ წინადადებას?
- ა) იხატება დრამატული სიტუაცია.
 - ბ) იხატება ომის სურათი.
 - გ) იხატება სოციალური გაჭირვება.
- (1) 14. განსაკუთრებით რა ამბიშებს დედის მდგომარეობას?
- ა) „ჩავარდნილია მამა ლოკინად“.
 - ბ) „დარჩენა დაღუპვას ნიშნავს“.
 - გ) „არეულია მთელი ქვეყანა“.
- (1) 15. რა მიზნით ახსენებს ავტორი „გამოლენჩებულ სახეებს“?
- ა) რათა გვიჩვენოს, რატომ გაურბის დედა სასიკვდილო საფრთხეს.
 - ბ) რათა გვიჩვენოს, როგორ მოქმედებს ადამიანებზე უმწეო ბავშვის დანახვა.
 - გ) რათა გვიჩვენოს, როგორ მოქმედებს ადამიანებზე საგანგაშო სიტუაცია.
- (1) 16. ბრბოს რა თვისება ჩანს სიტყვებში: „და ჩემს სხეულზე ვგრძნობ უხემ ხელებს და ის ხელები ჩემს გადაგდებას ცდილობენ გზიდან“?
- ა) დაუნდობლობა.
 - ბ) სიბრიყვე.
 - გ) უხამსობა.
- (1) 17. რატომ უყურებს ბავშვი დედას საყვედურით?
- ა) იმიტომ, რომ დედა ვერ ახერხებს მის დაცვას ბრბოსაგან.
 - ბ) იმიტომ, რომ დედა ვერ ახერხებს მის მიყვანას სარკმელთან.
 - გ) იმიტომ, რომ დედა ვერ ახერხებს მის შეყვანას მატარებელში.
- (1) 18. რატომ სურს ბავშვს „მისვლა სარკმელთან“?
- ა) საყვარელ ქალაქს რომ დაემშვიდობოს.
 - ბ) აგრესიულ ხალხს რომ მოშორდეს.
 - გ) უნუგემო მომავალზე რომ არ იფიქროს.
- (1) 19. რატომ ვერ ახერხებს ბავშვი სარკმელთან მისვლას?
- ა) იმიტომ, რომ მატარებელი დიდი სისწრაფით მიექანება.
 - ბ) იმიტომ, რომ მატარებელი სავსეა უსულგულო ადამიანებით.
 - გ) იმიტომ, რომ მატარებელში დასადგომი ადგილი არ არის.
- (1) 20. ტროპული მეტყველების რომელ სახეობას იყენებს ავტორი სიტყვებში: „ტკივილი სულში იბუდებს საფუძვლიანად, როგორც გამძლარი მხეცი ბუნაგში“?
- ა) მეტაფორას.
 - ბ) შედარებას.
 - გ) ჰიპერბოლას.
- (1) 21. რა ფუნქცია აკისრია ფრაზის – „მე ათი წლის ვარ“ – ხშირ განმეორებას?
- ა) უფროსების ეგოიზმის ჩვენების.
 - ბ) ბავშვის სულიერი სამყაროს ჩვენების.
 - გ) ბავშვის უმწეობის ჩვენების.

ბ) წერიტი დავალება:

წერიტი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

*თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულნი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, **დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.***

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამომვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერიტი დავალების მაქსიმალური ქულაა 24.

გააანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ლექსის ლირიკული გმირის მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ მის განცდებსა და ემოციებს);
- იმსჯელეთ ბავშვის სულიერ სამყაროში არეკლილი სასტიკი რეალობის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ ბრბოს გულგრილობისა და ეგოიზმის გამოვლინებას);
- ჩამოაყალიბეთ საკუთარი დამოკიდებულება ამ ტექსტის მიმართ და იმსჯელეთ, რა საშუალებებითაა მიღწეული მხატვრული ეფექტი.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

შეფასების სქემა

I. ქართული ენა

4) 1.

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ

- | | | | | | | | | | | |
|----|--------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|-------------------------------------|
| 1. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |
| 2. | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

(4) 2.

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ

- | | | | | | | | | | | |
|----|-------------------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| 1. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |
| 3. | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

(10) 3. I II

შეცდ. უშეცდ.

- | | | |
|-----|-------------------------------------|-------------------------------------|
| 1. | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |
| 2. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |
| 4. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 5. | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |
| 6. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 7. | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |
| 8. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 9. | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |
| 10. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

14) 4. გიშერი შავი ფერის ქვაა. ძველ ეგვიპტეში მისგან ნელსაცხებელთა კოლოფებს თლიდ-
ნენ(1). გიშრის(2) სამკაულები მრავალ ქვეყანაში(3) არის გავრცელებული. ამჟამად იგი
წარმოებაშიც გამოიყენება და მისგან ზუსტი ხელსაწყოების ნაწილები მზადდება(4).

უძველესი დროიდან გიშერს უმნიშვნელოვანესი (ძალზე მნიშვნელოვანი) (5) ფუნქცია
ჰქონდა. ითვლებოდა, (6) რომ იგი ადამიანებს უარყოფითი ენერგიისაგან იცავდა. გიშერი
ბევრჯერ დაუწვავთ(7) კიდევც, (8) რადგან(9) ფიქრობდნენ, რომ ამით ავ სულებს დეკნდნენ
(განდევნიდნენ) (10) ოჯახებიდან. ჩვენში დღესაც შეამჩნევთ ჩვილის საწოლზე დამაგრებულ
გიშერს, (11) რომელსაც მშობლები საუკეთესო თილისმად თვლიან.

5. მაქსიმალური ქულაა – 8.

შეფასების კრიტერიუმები

I. კრიტერიუმი

№	ტექსტის ორგანიზება	ქულები
1.	ტექსტი ადეკვატურადაა ორგანიზებული და პასუხი გაცემულია ორივე მითითებაზე.	2
2.	ტექსტი ადეკვატურადაა ორგანიზებული, მაგრამ პასუხი გაცემულია მხოლოდ 1 მითითებაზე ან ტექსტი ნაწილობრივ ადეკვატურადაა ორგანიზებული და პასუხი გაცემულია ორივე მითითებაზე.	1
3.	ტექსტი ნაწილობრივ ადეკვატურადაა ორგანიზებული და პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ მითითებაზე ან დავალება არაადეკვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი არ სწორდება

II. კრიტერიუმი

№	დასაბუთება	ქულები
1.	კარგად არის დასაბუთებული ორივე მითითება.	2
2.	კარგად არის დასაბუთებული ერთი მითითება და მეორე – ნაწილობრივ.	1
3.	ნაწილობრივ არის დასაბუთებული ორივე მითითება.	0

III. კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	1
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია და ტექსტი სტილისტურად გაუმართავია.	0

IV. კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	ქულები
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	2
2.	არ არის დაშვებული ხუთზე მეტი შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ხუთზე მეტი შეცდომა.	0

V. კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	ქულები
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	1
2.	დაშვებულია ორზე მეტი შეცდომა.	0

II. ქართული ლიტერატურა

6. პირველ წინადადებაში ვლინდება ვარსკენის სისასტიკე (ულმობლობა, შეუბრალებლობა, მძინვარება...). ვარსკენის სიტყვით, დედოფლის დატყვევებას მისი დაღუპვა უნდა მოჰყოლოდა. დიაკვანს ამოდრავებდა დედოფლის გამხნეების (თანადგომის გამოხატვის...) სურვილი. დიაკვანს თავისი განზრახვის განხორციელებაში ხელი შეუშალა პიტიახშის შიშმა (ვარსკენის დანახვამ თავზარი დასცა, ვარსკენის შიშმა აიძულა გაქცეულიყო...).

1. სისასტიკე (ულმობლობა, შეუბრალებლობა...) _____1
2. სიკვდილი _____1
3. გამხნეების სურვილი _____1
4. შიშმა _____1

7. მეფის დარბაზიდან გამოსულ ვეზირს მონებმა დაახვედრეს ავთანდილის გაპარვის ამბავი. ვეზირმა იმიტომ თქვა: „მე დარბაზს ვერ შევალ“, რომ მეფის რისხვის (სასჯელის) შეეშინდა. ვეზირს ის გაუხდა სანანებელი, რომ სთხოვა მეფეს, გაეშვა ავთანდილი. ამ მონაკვეთში ვლინდება როსტევეანის შეშფოთება (სევდა, ჭმუნვა, აღელვება...).

1. ავთანდილის გაპარვის _____1
2. დასჯის შეეშინდა _____1
3. ავთანდილის წასვლის სურვილი გაანდო მეფეს _____1
4. რისხვა (გაბრაზება...) _____1

8. სიტყვებში – „უფალსა მსხვერპლი შევსწირე“ – გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმება, რომ დავითმა ილოცა (ზვარაკად მსხვერპლი შესწირა). დავითისათვის ის ფაქტი, რომ ხელთ არ ჰქონდა „სამლო წერილი“ მტკივნეული იმიტომ იყო, რომ მან ზეპირად არ იცოდა ლოცვები (კარგად არ იცოდა საღვთო წერილი...). სიტყვებში „მტრებს“ გურამიშვილი შეიძლება გულისხმობდეს ეშმაკებს (მღევარს, ლეკებს...).

1. ლოცვა _____1
2. ზეპირად არ იცოდა ლოცვები _____1
3. მღევარს (ეშმაკებს) _____1

9. ხილულ ცას მიემართება ეპითეტი ლაჟვარდი („ლაჟვარდს“). ავტორი იმ მიზნით მიისწრაფვის მიღმური სამყაროსაკენ, რომ წუთისოფელი დაივიწყოს (დატოვოს ამქვეყნიური ამაობა, შეუერთდეს ზეციურ სამყაროს...). ღვთიურ ნებას (განგებას, ზეციურ წესრიგს...), სამწუხაროდ, ადამიანი ვერ შეიმეცნებს (ვერ გაიაზრებს, ვერ მიწვდება...). ეს ტექსტი მიეკუთვნება რომანტიზმს.

1. ლაჟვარდი _____1
2. შეერწყას ღვთიურს _____1
3. საუბედუროდ, ადამიანი ღვთიურ სამყაროს ვერ შეიცნობს _____1
4. რომანტიზმი _____1

10. ოფიცერი ქვეყნის განვითარების დონეს ზომავს გენერლების რაოდენობით. ამ მონაკვეთში ჩანს რუსი ოფიცრის ქედმაღლური (აგდებული, შეურაცხყოფელი, შოვინისტური...) დამოკიდებულება. იმის ასახსნელად, რომ ქვეყანას კარგად არ იცნობს, ოფიცერი ამბობს, სამი წელიც არ არის, რაც ამ ქვეყანაში ვარო. ავტორი ამ მონაკვეთში წარმოაჩენს ოფიცრის სიბრიყვეს (გაუნათლებლობას, შოვინიზმს...).

1. გენერლების რაოდენობით _____1
2. ქედმაღლური _____1
3. სამი წელიც არ შესრულებულა, რაც აქ ჩამოვედიო _____1
4. სიბრიყვეს (გონება შეზღუდულობას) _____1

11. მინდია ახალგაზრდა ხევსურებს საყვედურობს იმას, რომ გრძნობების კარნახით მოქმედებენ (არ ფიქრობენ, ისე იქცევიან...). მინდია ყურადღებას ამახვილებს ალუდას ვაჟკაცობაზე. ფიცი გადმოცემულია სტრიქონში „თავს არ დამექცნენ ცანია!“ მინდიას მიზანია, დაამტკიცოს, რომ ალუდას სიცრუე არ უთქვამს (რომ არ მოუტყუებია ხევსურები; რომ ალუდა მართალია...).

- 1. უსამართლოდ საყვედურობენ ალუდას _____1
- 2. ვაჟკაცობაზე _____1
- 3. „თავს არ დამექცნენ ცანია!“ _____1
- 4. დაამტკიცოს ალუდას სიმართლე _____1

12. ამ მონაკვეთში ასახულია მეფის გაბრაზება (გამძვინვარება, გააფთრება...). მეღქისედეკმა არსაკიძე იმიტომ აღარ დაიცვა, რომ შეშინდა დიდოსტატის „წარმართობის“ გამო (მისი რწმენის შერყევა ირწმუნა; რადგან გაიგო, რომ არსაკიძეს მკრეხელური სურათი ჰქონდა დახატული...). ორი სიტყვა, რომლებშიც ჩანს ხუროთმოძღვრის ნიჭის დაუფასებლობა, არის – ცუდად ამგებელი („ცუდად ამგებელს“). სიტყვებით: „თვით საღირასაც ცრემლი ჩამოსდინდა“ ავტორს სურს მიანიშნოს, რომ ჯაღათსაც კი შეებრაღა ხუროთმოძღვარი.

- 1. განრისხება _____1
- 2. მკრეხელური სურათის დახატვის გამო _____1
- 3. „ცუდად ამგებელს“ _____1
- 4. საშინელი უსამართლობა მოხდა _____1

III. წაკითხულის გააზრება (№1 და №2 დავალებები)

- 13. ა) _____1ქ. 14. ა) _____1ქ. 15. გ) _____1ქ. 16. ა) _____1ქ. 17. ა) _____1ქ.
- 18. ა) _____1ქ. 19. ბ) _____1ქ. 20. ბ) _____1ქ. 21. გ) _____1ქ.

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **24**. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება, ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

I კრიტერიუმი

№	დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება	ქულები
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებულ, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	4
2.	დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებულ.	3
3.	დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებულ და გააზრებული, თუმცა ერთ შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან/და ტექსტის არაადეკვატური გაგება.	2
4.	ერთზე მეტ შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებულ.	1
5.	ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულ.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	ნაშრომის აგება	ქულები
1.	ნაშრომი უპასუხებს სამივე მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ პასუხი მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება გაცემული.	3
2.	ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს სამ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	2
3.	ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
4.	ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

№	მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება	ქულები
1.	მსჯელობა <i>სამივე</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.	6
2.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	5
3.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული).	4
4.	მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>ორ</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	3
5.	მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, <i>მეორე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული).	2
6.	<i>სამივე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	1
7.	<i>ორი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული.	0

IV კრიტერიუმი

№	ტექსტის მხატვრული თავისებურებები	ქულები
1.	ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.	2
2.	ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ მსჯელობა არ არის დასაბუთებული კონკრეტულ მაგალითებით.	1
3.	ნაშრომში არ არის <i>გამოყოფილი</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები.	0

V კრიტერიუმი

№	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ქულები
1.	ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	0

VI კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი.	2
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	1
3.	თხზულება სტილისტურად გაუმართავია.	0

VII კრიტერიუმი

№	სინტაქსური კონსტრუქციები	ქულები
1.	ნაშრომში დაშვებულია <i>ერთი</i> სინტაქსური შეცდომა.	2
2.	ნაშრომში დაშვებულია <i>ორი</i> სინტაქსური შეცდომა.	1
3.	ნაშრომში დაშვებულია <i>ორზე მეტი</i> სინტაქსური შეცდომა.	0

VIII კრიტერიუმი

№	<i>მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია</i>	<i>ქულები</i>
1.	არ არის <i>ოთხზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	არ არის <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0

I. ქართული ენა

(4) 1. შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელი ფრაზეოლოგიზმები შეესაბამება ტექსტში ხაზგასმულ სიტყვებს.

- ა) გულის დამძიმება; ბ) გულის მოგება; გ) გულში ჩავარდნა; დ) თავის გამოდება;
- ე) თავის დაძვრენა; ვ) სიტყვის მიცემა; ზ) სიტყვის შებრუნება; თ) ხელის გამართვა; ი) ხელის დადება; კ) ხელში ჩაგდება.

მეფე აიეტმა იასონს შესთავაზა: დავალებას მოგცემ და თუ მის შესრულებას შეძლებ, ოქროს საწმისს დაგიბრუნებო. იასონმა (1)შეკამათება ვერ გაბედა და მეფის წინადადება მიიღო, მაგრამ (2)დადარდიანდა. მიხვდა, თუ აიეტის გარემოცვიდან ვინმე არ (3)დაეხმარებოდა, მიზანს ვერ მიაღწევდა. ღმერთებმა შეისმინეს მისი თხოვნა და მეფის ასული ბერძენი ჭაბუკის სიყვარულით დააბრმავეს. იასონმა მედეას ჯადოქრობის წყალობით ოქროს საწმისის (4)მოპოვება შეძლო.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების შესაბამისი ნომრების გასწვრივ მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(4) 2. კონტექსტის გათვალისწინებით შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია ტექსტში ხაზგასმული სიტყვების შესაფერისი ანტონიმები.

- ა) ბასრი; ბ) მძაფრი; გ) მძიმე; დ) რბილი; ე) სველი; ვ) სუსტი; ზ) ტენიანი;
- თ) უმწეო; ი) ღონიერი; კ) ძნელი.

(1)მშრალი ჰაერის გამო მრავალი ტროპიკული მცენარე იმდენად (2)გამძლვდა, რომ მათი სხვა ნივთიერებზე გადატანა ძალიან (3)ადვილია. სწორედ ასეთია მანგო, რომლის ნაყოფს ატმისა და ფორთოხლის (4)მსუბუქი არომატი დაჰკრავს.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების შესაბამისი ნომრების გასწვრივ მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(10) 3. ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები. ხუთ წინადადებაში თითო-თითო შეცდომაა, ხუთი წინადადება უშეცდომოა. თუ წინადადებაში შეცდომაა დაშვებული, აღნიშვნა **X** გააკეთეთ პირველი რიგის შესაბამის უჯრედში, ხოლო თუ წინადადებაში შეცდომა არაა, აღნიშვნა **X** გააკეთეთ მეორე რიგის შესაბამის უჯრედში.

	I შეცდ.	II უშეცდ.
1. ცნობილი ქართველი ფერმწერი გიგო გაბაშვილი დაიბადა აჭარის სოფელ ციხისძირში 1862 წელს.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. იგი ჯერ თბილისში სწავლობდა კერძო სამხატვრო სკოლაში, ხოლო შემდეგ იყო პეტერბურგისა და მიუნხენის სამხატვრო აკადემიების სტუდენტი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. გერმანიაში სწავლის პერიოდში მან შეძლო წვეოდა იტალიას, საბერძნეთს, შუა აზიას, საიდანაც მრავალი ჩანახატი ჩამოიტანა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. ამ პერიოდის ერთ-ერთი ფერწერული ტილო 2006 წელს ნიუ-იორკის აუქციონზე მილიონ დოლარად გაიყიდა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის II ნახევარში ქართველი ახალგაზრდობა სამოციანელთა მოწინავე იდეებზე იზრდებოდნენ.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მომავალი მხატვრის მსოფლმხედველობა სწორედ ამ იდეებისა და დასავლური ხელოვნების ზეგავლენით ჩამოყალიბდა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. ფორმით ევროპული მხატვრობა ერთ-ერთმა პირველმა დაამკვიდრა ჩვენში გიგო გაბაშვილმა, რომელიც ეროვნული თემატიკით გაამდიდრა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მის სახელს უკავშირდება პორტრეტის, პეიზაჟის, ნატურმორტისა და სხვა ძირითადი ფერწერული ჟანრების განვითარება საქართველოში.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. იგი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და დაარსების თანავე გახდა ამ სასწავლებლის პირველი პროფესორი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. გიგო გაბაშვილმა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით მნიშვნელოვნათ შეუწყო ხელი ქართველ მხატვართა პროფესიული დონის ამაღლებას.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(14) 4. ტექსტში დაშვებულია სულ 11 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. **გაასწორეთ** ეს შეცდომები და ხარვეზები და **ისე გადაწერეთ ტექსტი**, რომ არც ერთი წინადადების შინაარსი არ შეცვალოთ. თუ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში არ იქნება არც ერთი შეცდომა, დამატებით მოგეცემათ 3 ქულა.
(*გაითვალისწინეთ*, ერთ წინადადებაში შეიძლება შეგხვდეთ ერთზე მეტი შეცდომა ან ხარვეზი.)

ფირუზი ძვირფასი ქვაა რომელიც ადვილად მუშავდება. ძველ ეგვიპტეში მას წმინდა ქვად სთვლიდნენ. ფირუზის ბეჭედის ტარება მხოლოდ ფარაონებს შეეძლოთ. ინდიელთა უძველეს სამარხებს დღემდე შემოუნახია ამ ქვით შემკული მრავალი საგნები. როგორც ჩანს, ფირუზი მათთვის ძალზე უმნიშვნელოვანესი სიმბოლო იყო. დღეს ადგილი აქვს ხელოვნური ფირუზის დამზადებას რომელსაც ბუნებრივისაგან ძნელად ანსხვავებენ.

ჩვენში ამ ქვას მხოლოდ დეკორატიული ფუნქცია აქვს რათა ევროპული კულტურის დამკვიდრებამ ფირუზის სიმბოლური მნიშვნელობა თანდათან დაჩრდილა.

II. ქართული ლიტერატურა

(4) 6. იაკობ ხუცესი მოგვითხრობს:

მაშინ წარმოიყვანეს, და მოჰყვანდა წმიდაი შუშანიკ უხამური და თმაგარდატევებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი, და ვერვინ იკადრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი მხედრ შეუდგა უკუანა კუალსა მისსა და აგინებდა მას მრავლითა გინებითა. და მივიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაი, სიმრავლეი ურიცხვი, რამეთუ უკუანა შეუდგეს, ხმაი აღემაღლა და ტიროდეს და იხახდეს დაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთვის.

1. *განმარტეთ*, რის გამო აღარებს ავტორი დედოფალს „ვინმე შეურაცხთაგანს“. (ციტირება დაუშვებელია!)
2. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით, რამ განაპირობა ის, რომ „ვერავინ იკადრა თავსა მისსა დაბურვად“.
3. *განმარტეთ*, რის თქმა სურს ავტორს ხალხის მწუხარების ჩვენებით.
4. *განმარტეთ* ამ მონაკვეთის მიხედვით, რა მიზანს ისახავს ვარსკენი.

(4) 7. ტარიელი იხსენებს მეფის სასახლეში გამართულ თათბირს:

დავიწყეთ რჩევა საქმისა, გული მიც, თუცა მეღია;
ვთქვი: „ჩემგან დაშლა ამისა არ ითქმის, არ-საქმნელია!“
მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია,
თუ მოგეცემს შეილსა სასიძოდ, მისებრი არ რომელია“.

რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყვებოდა;
ერთმანერთსაცა უჭკრეტდეს, სიტყვაცა აგრე სწებოდა.
ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა,
ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა.

1. თქვენი სიტყვებით *გადმოეცით*, რა გაიფიქრა ტარიელმა, სანამ მეფის გადაწყვეტილებას შეიტყოდა.
2. *განმარტეთ*, მეფე-დედოფლის რა საქციელმა მიახვედრა ტარიელს, რომ მათ „პირველვე დაესკვნა“. (ციტირება დაუშვებელია!)
3. *განმარტეთ*, ტარიელის რა სულიერი მდგომარეობა ჩანს ამ მონაკვეთში.
4. *გაიხსენეთ*, რით დაემუქრა ნესტანი ტარიელს თათბირის შემდეგ.

(3) 8. დავით გურამიშვილი გვიამბობს:

ჩემს უკან მდევართ გარდურჩი იმ წოლით დღითა სამითა,
ხუთი დღე-ღამე ვიცხოვრე შვიდის ტყემალის ჭამითა;
დღისით ჯაგნარში ვსძვრებოდი, მინდვრად ვიდოდი ღამითა,
დღე თერთმეტამდის ვიარე ყოფა-ქცევითა ამითა.

1. *განმარტეთ*, რატომ ვერ შეიპყრო დავითი მდევარმა. (ციტირება დაუშვებელია!)
2. *განმარტეთ*, რის გამოხატვა სურს ავტორს მეორე სტრიქონში დასახელებული კონკრეტული დეტალებით.
3. *განსაზღვრეთ* დავითის ქცევის მოტივი.

(4) 9. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ხმა იდუმალი“ ვკითხულობთ:

რა ვჰსცან პირველად წუთისოფელი,
დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის, –
მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!
ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ჭირად:
„ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი,
ვინძლო იპოვნო შენი საშვენი!“

1. *დაახსენეთ*, კონკრეტულად რას მიემართება ეპითეტი „წრფელი“.
2. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ვლინდება ავტორის ემოციური დამოკიდებულება იდუმალი ხმის მიმართ.
3. თქვენი სიტყვებით *გადმოეცით*, რა მიზანს უსახავს იდუმალი ხმა ავტორს.

4. დაასახელოთ ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც მიეკუთვნება ეს ტექსტი.

(4) 10. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „ოთარანთ ქვრივი“ არჩილი მიმართავს კესოს:

– სჩანს ჩვენთვის წიგნი სხვა ყოფილა და საქმე სხვა. არ გიყვარდა იმავ მიზეზით, რა მიზეზითაც არ შეირთავდი: გლეხკაცი იყო. სად არის აქ „თაყვანისცემა ღირსებისა“, რომელიც ჩვენ ასე მოგვწონდა? წიგნშია და არა საქმეში, ენაზეა და არა გულში. აბა გიორგის ამბავი წიგნში ამოგვეკითხნა, რა პტყელ-პტყელ ლაპარაკს მოვეყვებოდით მე და შენ და ჯვართ ვაცვამდით, ვისაც კაცის საწყაოდ გვარიშვილობა მოუხმარია. „ღირსების თაყვანისცემას“ ვილა სჩივის, შენ ვერც კი მიუხვდი სიყვარულს, კაცი თურმე თავს გვევლებოდა. აი, რა დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა! ჩვენის სისხლ-ხორცის ქვითკირია, ქვითკირი... ჩვენ რომ გვეკითხონ, ვითომ დიდი ხანია გადაგვიქცევია ეს მაგარი კედელი. მაგრამ რით? მარტო წიგნისაგან გააღმასებული ენითა...

1. თქვენი სიტყვებით გადმოცემით, რას გულისხმობს არჩილი სიტყვებში: „წიგნშია და არა საქმეში, ენაზეა და არა გულში“.
2. განმარტეთ, არჩილის სიტყვით, რის გამო ვერ შეიყვარებდა კესო გიორგის.
3. განმარტეთ, კესოს გარდა, კიდევ ვის მიემართება არჩილის საყვედური.
4. განმარტეთ, რა საზოგადოებრივი პრობლემის შესახებ მსჯელობს არჩილი (ციტირება დაუშვებელია).

(4) 11. ვაჟა-ფშაველას პოემაში „აღუდა ქეთელაური“ გადმოცემულია, როგორ გაბრაზდა აღუდა, როდესაც მინდიამ მუცალის მოჭრილი მარჯვენა მიუტანა:

წაიდე, თუ გწამ უფალი,
ნულარ მაჩვენებ თვალითა.
კაის ყმის მარჯვენა არი,
გული მეწვება ბრალითა.
რაად სწყრებიან ხევსურნი,
რადა ტყვრებიან ჯავრითა?!
მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი
მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!
„წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭერ დანითა“, –
ვაი ეგეთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა-ბრალითა!

1. ამოიწერეთ სტრიქონი, რომელშიც მუცალის შეფასებაა მოცემული.
2. განმარტეთ, რა მტკიცე გადაწყვეტილების მიღებისაკენ უბიძგა აღუდას ხევსურთა წყრომამ. (ციტირება დაუშვებელია!)
3. განმარტეთ, რას ეყრდნობა ხევსურთა კატეგორიული მოთხოვნა.
4. განმარტეთ, რას გულისხმობს აღუდა, როდესაც სამართალს უწოდებს „მონათლულს ცოდვა-ბრალითა“.

(4) 12. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობიდან „იგი“:

– როცა ცა დღის თვალს გაახელს და ქვეყნიერებას სიბნელეს გადააცლის, იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება.

ბელადის სიტყვებს ცხელი ხიფათის სუნი აუვიდა, როგორც შიშველ მთას აუვა ხოლმე, როცა შიგნიდან ცეცხლის ენა ამოიმართება და ცა ფერფლის ღრუბლით დაიფარება. შეშფოთებამ იგის თავით ფეხებამდე დაუარა. ასეთი რამ ჯერ არც ერთ ბელადს არ ეთქვა. იგი მიხვდა, რომ ქვეყნად რაღაც ახალი გაჩნდა. ოღონდ ისე კი არა, ცის ძახილი ცეცხლად რომ გაიკლავებოდა და მყისვე გაქრებოდა. არა. მიწა რომ გაიბზარება და ნაპრალი აღარასოდეს ამოივსება, ისე.

1. ამოიწერეთ სიტყვები, რომლებშიც გადატანითი მნიშვნელობით მზის ამოსვლა იგულისხმება. (არა უმეტეს ოთხი სიტყვისა)
2. განმარტეთ, რა იგულისხმება სიტყვებში: „დიდი დაძინების ხახა“.
3. დაასახელოთ, იგის რა განცდა გამოიხატება ფრაზით: „ბელადის სიტყვებს ცხელი ხიფათის სუნი აუვიდა“.
4. განმარტეთ, ბელადის რა გადაწყვეტილებამ გამოიწვია ის, „რომ ქვეყნად რაღაც ახალი გაჩნდა“.

III. წაკითხულის გაახრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება № 1

გურამ დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პირველი“ ალექსანდრო უამბობს დომენიკოს:

სანამ ბალახისფერი კაცი კარაველებთან მივიდოდა, ორი დღით ადრე ყველაზე კარგი მოქალაქე გააძევეს. აღარ იკითხავ, რატომ აითვალწუნეს? კარაველებმა ერთხელ დიდ თავშეყრაზე – ნადირობის დასაწყისში აღნიშნეს, რომ იმათი ქალაქი ყველასა სჯობს... იმ კაცმა კი თქვა, რომ ალუბლის ქალაქი უფრო კარგია. ჩვენ შორის დარჩეს, დომენიკო, და ეს მართლაც ასე იყო და მით უფრო აწვავთ კუჭი, მის საწინააღმდეგოდ ამხედრდნენ, ცილი დასწამეს, რომ მას არ უყვარდა თავისი ქალაქი და ამიტომაც არ იყო მათთან ყოფნის ღირსი, და გაძევა მიუსაჯეს. დიდმა კარაველმა თოფი შეათამაშა და თქვა: „თუ შენ ახლავე არ დატოვებ ჩვენს საყვარელ ქალაქს, მაშინ მე გესვრი...“ კაცი შეაცქერდა, რამდენჯერმე ნელა, საყვედურით დაიქნია თავი და წავიდა. ეს, რა თქმა უნდა, საბაბი იყო, მიზეზი კი სუუულ სხვა რამ გახლდათ: კარაველებს არ მოსწონდათ პატიოსანი კაცი. ბევრს კი არაფერს აშავებდა – ვინმე რამე ცუდ საქმეს რომ ჩაიდენდა, პაატარა, მცირე საყვედურით შეაცქერდებოდა ხოლმე. ეს იყო და ეს...

რალა დარჩენოდა, – აიღო და წავიდა. მესამე დღეს კი, ზუსტად თერთმეტის ნახევარზე, ქალაქს მეორე მხრიდან ბალახისფერი კაცი მიადგა. ქალაქში როგორ შემოვიდა, არავის დაუნახავს, რადგან კაცები სანადიროდ იყვნენ წასულნი, ქალები კი მორევთან შეკრებილიყვნენ და კამათობდნენ, დიდი კარაველის ცოლს მადლა აწეული ვარცხნილობა უფრო უხდებოდა თუ მხრებზე დაყრილი თმა. ბალახისფერი კაცი კი აუზთან მივიდა და რამდენიმე პეშვი წყალი დალია. ეტყობოდა, რომ არ სწყუროდა, მაგრამ მაინც სიამოვნებდა ის წყალი... თავით-ფეხამდე ბალახისფერი იყო, მწვანე შარვლის გარდა, არაფერი ეცვა და, ფეხშიშველი, ფრთხილად მიაბიჯებდა. მორევს რომ მიუახლოვდა, შვებით ამოისუნთქა და ბალახზე გაწვა – ასე ვერავინ შეამჩნევდა. მხოლოდ თვალის გუგები უელავდა. ქალების საუბარს ნაღვლიანად უსმენდა და თან სუუულ ცოტათი იღიმებოდა, თეთრი კბილები რომ არ გამოსჩენოდა. და უცებ ისეთი რამ მოხდა, ყველა ქალმა გააკვირვებით მიმოიხედა – რაღაცნაირად ისე დაემთხვა, რომ ორიოდ წუთით სროლის ხმა შეწყდა. კარაველების ქალაქში ეს დიიდი უცნაური შემთხვევა იყო – იქ ყოველთვის გაისმოდა სროლა – თუ არ ნადირობდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სროლაში, ანდა ისე, უმიზეზოდ ისროდნენ. დამითაც არ ჰკარგავდნენ დროს... გააკვირვებულმა ქალებმა თავი ასწიეს და შველებივით ყნოსავდნენ ჰაერს, „რატომ არ ისვრიან? – იკითხა დიდი კარაველის ცოლმა, – ნეტავი რაიმე უბედურება ხომ არ მოხდა, ჰა...“ შემფოთებული იყურებოდა ირგვლივ და უცებ, ზეედ ცხვირწინ, ბალახისფერი კაცი არ წამოხტა?.. ქალმა იგი ჯერ მწოლიარე დაინახა, თვალეში შეაცქერდა და მერე, ბუნდოვნად რომ გაარჩია ცხვირი, შუბლი, შიშისაგან უცებ თვალთ დაუბნელდა და ზუსტად ისევე სწრაფად ჩაიკეცა, როგორც ის კაცი წამოხტა. ამასაც კარგა მაგრა შეეშინდა – კლაკნილად გარბოდა, რადგან ქალებსაც დაჰქონდათ მსუბუქი იარაღი, მაგრამ არავის აზრადაც არ მოსვლია სროლა, ისეთი გააკვირვებულები იყვნენ – იმგვარი ცხოველი არსად ენახათ. ამასობაში სროლაც განახლდა, დიდი კარაველის ცოლმა თავი წამოსწია, მიმოიხედა და გაიღიმა, – „გესმით, ისვრიან, – და უცებ გაახსენდა, – ვაი! ის რა იყო, რა?“

ნადირობიდან რომ დაბრუნდნენ და ახალი ამბავი შეიტყვეს, კაცებმა აგდებული ღიმილით შეათვალაიერეს აფორიაქებული ცოლები, ცალი ყურით მოუსმინეს და მერე აღმაცერად გადახედეს ერთმანეთს, რაც ნიშნავდა: „ყოველი ქალი სულელია...“

მართლაც, მთელი ერთი კვირა არავის უნახავს ბალახისფერი კაცი... ერთ მშვენიერ დღეს კი, დიდ დღესასწაულზე, როცა კარაველებმა ნაირფრად შეიღებეს სხეული და, შუადამის კოცონის პირას ცეკვა და ყვირილი ატეხეს, მათი ყურადღება მიიქცია ერთმა მწვანედ შეღებილმა კაცმა, რომელიც უცნაური ადგზნებით ცეკვავდა და თავდაუზოგავად იგრისებოდა. ყველა შეჩერდა და გააკვირვებულნი შესცქეროდნენ – არც ერთს არ ეცნაურა. ყველა გახევდა, მხოლოდ ის კაცი ცეკვავდა თვალდახუჭული და, უზომოდ გატაცებულმა მედოლემაც რაღაც იგრძნო იმის დანახვაზე და დააკრა შეწყვიტა. დოლი მიჩუმდა თუ არა, იმ კაცმა ერთი კი მოავლო ყველას თვალი და უცებ გაიქცა. ყველა მამაკაცი იქ იყო, კოცონთან... ბრაზისაგან ვერაფერი ამოღერდეს, დიდმა კარაველმა კი სიმწრით მხარზე იკბინა. იმ დამით სროლა არ შეწყვეტილა, ისე იყვნენ განრისხებულნი, რომ ერთმა ჭაში ჩაცალა შვიდი ტყვია და, აცახცახებული, ყოველ გასროლაზე იძახდა – „ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი...“

მეორე დღეს კი დიდი კრება მოიწვიეს. რაც კი დოლი იყო, ყველა ერთად აგუგუნდა... დიდი

კარაველი ხალხის წინ, კასრზე იდგა, განრისხებულს, ჩანაცრისფრებული ძარღვი მოუჩანდა ყელსა და შუბლზე და მძიმედ სუნთქავდა. ყველანი გაცოფებულნი იყვნენ, თოფს მაგრად უჭერდნენ თითებს, მეორე ხელს კი მკერდზე იბაგუნებდნენ. მერე ორმა შიკრიკმა მოიყვანა ბრძენი კარაველი, რომელიც ხალხის წინ წარსდგა და ისეთი რამ თქვა, თითქოს ყოველი მათგანისათვის სილა გაეწინას: „ერთმა ბალახისფერმა კაცი ასეთ დღეში ჩაგაგდოთ, ნეტავ, რა გეშველებოდათ, რომ მოსულიყო ორი ბალახისფერი კაცი?“ დიდმა კარაველმა კბილები გაახრჭიალა...

ის ბალახისფერი კაცი კი ამ დროს ნაყოფს აგროვებდა ტყეში. კაკალი დაბერტყა და საიმედო ადგილას გადაამალა. კარგად იცოდა, რაც მოელოდა, თუკი შენიშნავდნენ. ისიც იცოდა, ადრე თუ გვიან ნაღდად რომ მოკლავდნენ და მაინც არ მიდიოდა. ყველაზე მეტად წვიმისა ეშინოდა – დიდ ფულუროში შეიპერებოდა ხოლმე და გახევდებოდა, წყვილად უელავდა თვალი. დარი თუ იყო, მთაზე ადიოდა და იქიდან დასცქეროდა ქალაქს. იგი უყურებდა კარაველთა ფუს-ფუსს დღესასწაულების დროს, აინტერესებდა, პირველი ვინ გამოვიდოდა სახლიდან გამთენიისას, სადამოობით ფანჯრებში მკრთალად მოცივაგე სინათლეებს შესცქეროდა და ასე იწვა, გახევებულები. მერე მთაზეც ვეღარ ადიოდა: ერთმა მონადირემ შენიშნა და მყისვე დიდ კარაველთან გაიქცა – იმას ძალიან ეწყინებოდა, სხვას რომ მოეკლა ბალახისფერი კაცი... მეორე დღეს, ნაშუადღევს, დიდი კარაველის მეთაურობით ყველა მონადირე ავიდა მთაზე და იმ ადგილს, სადაც წინადლით ბალახისფერი კაცი იწვა, ბრაზიანად დაახალეს უამრავი ტყვია. ის უცნაური კაცი კი იქვე, მაღალი ხის ტოტზე იდგა, მწვანე ფოთლებში შეეუქუული. კარაველები დღედაღამ ტყეში დადიოდნენ და ეძებდნენ. დიდ კარაველს ბრძენი დაჰყვებოდა და განზრახ იძახდა: „აი, ხედავ, სადა ყოფილა?“ „სად!“ – თოფიანი ხელი მალა აუსტებოდა ხოლმე დიდ კარაველს. „არა, ისე ვიძახი... თუ ახლომახლოს იმალება, მაშინვე წამოხტება“. „აა“. და რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მოწყენილმა ბრძენმა გულგრილად თქვა: „აჰა, ხედავ, სადა ყოფილა?“ – უცებ ხიდან ბალახისფერი კაცი ჩამოხტა. მუხლამდე დაფენილ ყვითელ ფოთლებში გარბოდა და მიზანში მშვენიერი ამოსაღები იყო. როგორ გგონია, დომენიკო, მოარტყამდნენ?

– რა ვიცი... მოარტყეს?

– კი, დიდმა კარაველმა კარგად იცოდა თავისი საქმე... წვიმამ რომ წამოუშინა, იმ კაცს სულ ჩამოეცალა მწვანე საღებავი და ყველამ იცნო... პატიოსანი კაცი იყო... რომ გააგდეს, ის... აღუბლის ქალაქს ისევ თავისი ოხერი ქალაქი ერჩია...

იმ ადგილას, სადაც მწვანე კაცი მოკვდა, ფიჭვი ამოვიდა.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული სამ-სამი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 13. რატომ გააძევეს კარაველებმა პატიოსანი კაცი ქალაქიდან?
 - ა) იმიტომ, რომ კარაველებს არ მოსწონდათ პატიოსანი კაცი.
 - ბ) იმიტომ, რომ მას აღუბლის ქალაქში ცხოვრება სურდა.
 - გ) იმიტომ, რომ მას არ უყვარდა თავისი ქალაქი.

- (1) 14. რა ფუნქცია აკისრია დიდი კარაველის ცოლის სიტყვებს: „რატომ არ ისვრიან?... ნეტავი რაიმე უბედურება ხომ არ მოხდა, ჰა“?
 - ა) ავტორს სურს აჩვენოს პერსონაჟის ხასიათი მისივე მეტყველების საშუალებით.
 - ბ) ავტორს სურს გამოხატოს ირონია კარაველთა ცხოვრების წესის მიმართ.
 - გ) ავტორს სურს შეუქმნას მკითხველს მოსალოდნელი უბედურების განცდა.

- (1) 15. რატომ წამოხტა მოულოდნელად და რატომ გაიქცა „კლაკნილად“ ბალახისფერი კაცი?
 - ა) ეშინოდა, რომ გამჟღავნებოდა მისი ნამდვილი ვინაობა.
 - ბ) ეშინოდა, რომ პირველი დანახვისთანავე გააძევებდნენ ქალაქიდან.
 - გ) ეშინოდა, რომ პირველი დანახვისთანავე დაუყოვნებლივ ესროდნენ.

- (1) 16. კარაველ მამაკაცთა რა თვისება ვლინდება მათსავე სიტყვებში – „ყოველი ქალი სულელია“?
 - ა) თავდაჯერებულობა. ბ) თავშეუკავებლობა. გ) თავხედობა.

- (1) 17. რის ჩვენებას ისახავს მიზნად ავტორი, როდესაც გვეუბნება: „დიდმა კარაველმა კი სიმწრით მხარზე იკბინა“?
- დიდმა კარაველმა ამოიციო ბალახისფერი კაცი.
 - დიდმა კარაველმა მართებულად შეაფასა სიტუაცია.
 - დიდმა კარაველმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.
- (1) 18. რა მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი ამ მონაკვეთში: „ერთმა ჭაში ჩაცალა შვიდი ტყვია და, აცახცახებული, ყოველ გასროლაზე იძახდა – „ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი...“?
- ალეგორიას.
 - ირონიას.
 - ჰიპერბოლას.
- (1) 19. რის თქმა სურს ავტორს ბრძენი კარაველის სიტყვებით: „ერთმა ბალახისფერმა კაცმა ასეთ დღეში ჩაგაგდოთ, ნეტავ, რა გეშველებოდათ, რომ მოსულიყო ორი ბალახისფერი კაცი?“
- კარაველები აგრესიულები არიან.
 - კარაველები ბრიყვები არიან.
 - კარაველები მშიშრები არიან.
- (1) 20. რას გვეუბნება ავტორი ბალახისფერი კაცის შესახებ ამ ფრაზით: „იგი უყურებდა კარაველთა ფუსფუსს დღესასწაულების დროს, აინტერესებდა, პირველი ვინ გამოვიდოდა სახლიდან გამთენიისას“?
- ბალახისფერი კაცი მშობლიური ქალაქის გარეშე ვერ ძლებდა.
 - ბალახისფერი კაცი ქალაქის მოსახლეობას არ უყვარდა.
 - ბალახისფერი კაცი შიშის გამო საფრიდან ვერ გამოდიოდა.
- (1) 21. რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი?
- საზოგადოება ვერ ურიგდება ადამიანს, რომელიც მას გაურბის.
 - საზოგადოება ვერ ურიგდება ადამიანს, რომელიც მას შეურაცხყოფს.
 - საზოგადოება ვერ ურიგდება ადამიანს, რომელიც მისგან განსხვავდება.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულნი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, **დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამომვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკე ცალკე მოცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 24.

გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ბალახისფერი კაცის ხასიათის შესახებ, გამოკვეთეთ მისი ინდივიდუალური თვისებები;
- იმსჯელეთ კარაველთა ცხოვრების წესის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ დიდი კარაველის მხატვრულ სახეს);
- იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი და რა საშუალებებითაა მიღწეული მხატვრული ეფექტი.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

ყურადღებით წაიკითხეთ ტიცინან ტაბიძის ლექსი „სერგეი ესენინს“:

გაუხედნავი კვიცი იყავი
და სისხლიანი, როგორც ჩალატარ.
დარჩები ლექსში გაურიყავი,
ცოდვავ, ამ ლექსს საფლავში გატან.
მოგდევდა სევდა დიდ ტრამალების
და მოატანე დარიალამდე.
სული სულს როგორ დაემალება?!
ჩვენი თვალებიც ცრემლით დალამდენ.
განა შენ დარჩი მარტო ცოცხალი,
რომ გადარჩენა არ გხარებია?..
ვინ დაითვალოს ცრემლის კურცხალი,
სირცხვილი, რაც გულს გაჰკარებია?..
გდიოდა ლექსი შენ, როგორც სისხლი, –
მოურჩენელი გულის იარა.
თავის სიკვდილით თავს ვერ დაიხსნი
და სისხლი მხოლოდ სისხლს ეზიარა.
გამთენიისას ხაშის დიდ ქვაბში
ხარშავდა კეპკას მთვრალი პალო.
ყინვას გაჰქონდა გარეთ კაშკაში,
სიკვდილმა ხელი მაგრად ჩაგავლო.
არ გამოცვლილა ხომ პოეზია –
მუხები ცისკრის კარებს აღებენ,
მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,
ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენ.
და გულში სტირის შენი ანდერძი:
სადღეგრძელოში გვახსოვდე მარად.
წითელ ღვინოში – შენ პურის კერძი
წამოიზრდები სისხლის ტომარად.
ღმერთი და სჯული... არა ვართ შორი,
მონღოლის სისხლი გვიდუღს ორთავეს,
სული დააპეს და მერე მძორი...
მძორიც ძერებმა გამოათავეს.
ასე უჭირდა ალბათ ამირანს,
რომ დაუღეწეს ჩვენსავით მკერდი...
შევსვამთ საწამლავს... ჩვენ როგორც მირონს –
პირველად შენ სთქვი ეს ალავერდი.
ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ,
შენზე ღრიალით გასკდა არღანი.
საკუთარ ძმასაც ვედარ გავუმხელ,
რაც ჩაკირულა გულში ბაღღამი...
სამწუხაროა ყველა ესენი
და უფრო მწარე კიდევ ის არი,

ღამაზო ბიჭო! სერგეი ესენინ!
 ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი!..
 ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში
 ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
 ყველამ იცოდეს – სხვა პოეტებში
 ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს!..

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული სამ-სამი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 13. ტროპული მეტყველების *რომელ* სახეს იყენებს ავტორი პირველი სტროფის მეორე სტრიქონში?
 - ა) შედარებას. ბ) გაპიროვნებას. გ) ჰიპერბოლას.
- (1) 14. *რომელი* სტრიქონი გამოხატავს ესენინის სულიერ მდგომარეობას საქართველოში მისი ჩამოსვლის მომენტში?
 - ა) „სული სულს როგორ დაემალება?!“
 - ბ) „მოგდევდა სევდა დიდ ტრამალების“.
 - გ) „ცოდვია, ამ ლექსს საფლავში გატან“.
- (1) 15. *რა* არის მესამე სტროფის მთავარი სათქმელი?
 - ა) ტიცინიც ისევე ცდილობდა თავის მოკვლას, როგორც ესენინი.
 - ბ) ტიცინიც ისევე ცდილობდა სამშობლოდან გაქცევას, როგორც ესენინი.
 - გ) ტიცინიც ისეთივე ტრაგიკული პიროვნება იყო, როგორიც – ესენინი.
- (1) 16. *როგორ* იქმნებოდა, ტიცინის აზრით, ესენინის პოეზია?
 - ა) დიდი ტანჯვის შედეგად. ბ) დიდი კომპრომისების შედეგად.
 - გ) დიდი განსჯის შედეგად.
- (1) 17. *რომელი* სტრიქონი გამოხატავს ავტორის თვალსაზრისს, რომ ესენინის დაღუპვა თვით-მკვლელობაზე მეტად მკვლელობას ჰგავს?
 - ა) „თავის სიკვდილით თავს ვერ დაიხსნი“.
 - ბ) „სიკვდილმა ხელი მაგრად ჩაგავლო“.
 - გ) „ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენ“.
- (1) 18. *რა* ფუნქცია აკისრია ლექსის მთლიან კონტექსტში სიტყვებს: „სული დააპეს და მერე მძორი... მძორიც ძერებმა გამათავეს“?
 - ა) დაანახვოს მკითხველს, რომ დიქტატურა ანადგურებს ტრადიციულ ღირებულებებს.
 - ბ) დაანახვოს მკითხველს, რომ დიქტატურა ანადგურებს თავისუფლებისმოყვარე პოეტებს.
 - გ) დაანახვოს მკითხველს, რომ დიქტატურა ანადგურებს ყველა ხელოვანს.
- (1) 19. ავტორის *რა* განცდაა გამოხატული სტროფში, რომელიც იწყება სიტყვებით: „ჩოფურა-შვილთან ვიყავით წუხელ...“?
 - ა) იმედგაცრუება. ბ) სასოწარკვეთა. გ) სინანული.
- (1) 20. *რა* არის უკანასკნელი სტროფის მთავარი სათქმელი?
 - ა) ცისფერყანწელებს ეამაყებათ ესენინთან მეგობრობა.
 - ბ) ცისფერყანწელებს გარდაუვალი დაღუპვა ელით.
 - გ) ცისფერყანწელები არასდროს შეურიგდებიან ბედს.
- (1) 21. *რა* აახლოებს ერთმანეთთან სერგეი ესენინსა და ტიცინ ტაბიძეს?
 - ა) ისინი ერთნაირ პოეტურ სახეებს იყენებენ.
 - ბ) ისინი ერთნაირად ებრძვიან ხელისუფლებას.
 - გ) ისინი ერთნაირად განწირულები არიან.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

*თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულნი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, **დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.***

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამომვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 24.

გაანალიზეთ ლექსი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ იხატება რუსი პოეტის სახე ამ ლექსში;
- იმსჯელეთ, როგორ იხატება ესენინისა და ქართველი პოეტების ურთიერთობა ამ ლექსში (ყურადღება მიაქციეთ კონკრეტული მოგონების გამომხატველ სტროფსაც და სტრიქონსაც – „სული სულს როგორ დაემალება?!“);
- იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი და რა საშუალებებითაა მიღწეული მხატვრული ეფექტი.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

შეფასების სქემა

I. ქართული ენა

(4) 1.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>

(4) 2.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
4.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(10) 3. I II
შეცდ. უშეცდ.

1.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
2.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
3.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
5.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
7.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
9.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(14) 4. ფირუზი ძვირფასი ქვაა_(1) რომელიც ადვილად მუშავდება. ძველ ეგვიპტეში მას წმინდა ქვად თვლიდნენ(2). ფირუზის ბეჭდის(3) ტარება მხოლოდ ფარაონებს შეეძლოთ. ინდიელთა უძველეს სამარხებს დღემდე შემოუნახავს(4) ამ ქვით შემკული მრავალი საგანი(5). როგორც ჩანს, ფირუზი მათთვის უმნიშვნელოვანესი (ძალზე მნიშვნელოვანი)(6) სიმბოლო იყო. დღეს ამზადებენ(7) ხელოვნური ფირუზს_(8) რომელსაც ბუნებრივისაგან ძნელად ასხვავებენ (განასხვავებენ)(9)

ჩვენში ამ ქვას მხოლოდ დეკორატიული ფუნქცია აქვს_(10) რადგან(11) ევროპული კულტურის დამკვიდრებამ ფირუზის სიმბოლური მნიშვნელობა თანდათან დაჩრდილა.

5. მაქსიმალური ქულაა – 8.

შეფასების კრიტერიუმები

I. კრიტერიუმი

№	ტექსტის ორგანიზება	ქულები
1.	ტექსტი ადეკვატურადაა ორგანიზებული და პასუხი გაცემულია ორივე მითითებაზე.	2
2.	ტექსტი ადეკვატურადაა ორგანიზებული, მაგრამ პასუხი გაცემულია მხოლოდ 1 მითითებაზე ან ტექსტი ნაწილობრივ ადეკვატურადაა ორგანიზებული და პასუხი გაცემულია ორივე მითითებაზე.	1
3.	ტექსტი ნაწილობრივ ადეკვატურადაა ორგანიზებული და პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ მითითებაზე ან დავალება არაადეკვატურადაა გაგებულნი.	0 ნაწერი არ სწორდება

II. კრიტერიუმი

№	დასაბუთება	ქულები
1.	კარგად არის დასაბუთებული ორივე მითითება.	2
2.	კარგად არის დასაბუთებული ერთი მითითება და მეორე – ნაწილობრივ.	1
3.	ნაწილობრივ არის დასაბუთებული ორივე მითითება.	0

III. კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	1
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია და ტექსტი სტილისტურად გაუმართავია.	0

IV. კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	ქულები
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	2
2.	არ არის დაშვებული ხუთზე მეტი შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ხუთზე მეტი შეცდომა.	0

V. კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	ქულები
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	1
2.	დაშვებულია ორზე მეტი შეცდომა.	0

II. ქართული ლიტერატურა

6. ავტორი იმის გამო ადარებს დედოფალს „ვინმე შეურაცხთაგანს“, რომ შუშანიკი ფეხშიშველი და თავშიშველი მოჰყავდათ. ის, რომ „ვერავენ იკადრა თავსა მისსა დაბურვად“ განაპირობა ვარსკენ პიტიასშის შიშმა (იმან, რომ ამხედრებული ვარსკენი უკან მოჰყვებოდა დედოფალს). ხალხის მწუხარების ჩვენებით ავტორს იმის თქმა სურს, რომ ხალხი თანაუგრძნობდა დედოფალს. ამ მონაკვეთის მიხედვით, ვარსკენი მიზნად ისახავს დედოფლის დამცირებას (ტანჯვას, გვემას; ხალხის დაშინებას...).

1. ფეხშიშველი და თავშიშველი იყო _____1
2. შიშმა _____1
3. ხალხი თანაუგრძნობდა დედოფალს _____1
4. მეუღლის დამცირების (შეურაცხეობის...) _____1

7. სანამ მეფის გადაწყვეტილებას შეიტყობდა, ტარიელმა გაიფიქრა, მე ვერ დავუშლი (ამ საქმის დაშლა შეუძლებელია...). მეფე-დედოფალს რომ „პირველვე დაესკვნა“, ტარიელს იმან მიახვედრა, რომ ისინი საუბრისას ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე (წინასწარვე შეთანხმებულნი რომ იყვნენ მეფე და დედოფალი იმაზე ეტყობოდათ, რომ ლაპარაკისას ერთმანეთს უყურებდნენ). ამ მონაკვეთში ჩანს, რომ ტარიელი თავზარდაცემულია (განადგურებულია, სასოწარკვეთილია...). ნესტანი ტარიელს თათბირის შემდეგ ინდოეთიდან გაძევებით (მოკვლით, სიკვდილით დასჯით...) დაემუქრა.

1. დაშლა არ გამოვა _____1
2. ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე _____1
3. სასოწარკვეთა _____1
4. მოკვლით (ინდოეთიდან გაძევებით) _____1

8. დავითი მღევარმა იმიტომ ვერ შეიპყრო, რომ იგი სამი დღე ჩაწოლილი იმალებოდა (ბუჩქებში იმალებოდა, მხოლოდ ღამდამობით დადიოდა). მეორე სტრიქონში დასახელებული კონკრეტული დეტალებით ავტორს სურს გამოხატოს აზრი, რომ მას ძალზე შიოდა (ძალიან უჭირდა...). დავითი მღევარს გაურბოდა (ტყვეობიდან თავის დაღწევას ცდილობდა...).

1. სამი დღე იწვა _____1
2. უჭირდა (შიოდა) _____1
3. ტყვეობიდან თავის დახსნა _____1

9. ეპითეტი „წრფელი“ მიემართება ყმაწვილკაცობის დროს (ახალგაზრდობას, სიყმაწვილეს...). ავტორის ემოციური დამოკიდებულება იდუმალი ხმის მიმართ ვლინდება სტრიქონში: „სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ჭირად“. იდუმალი ხმა ავტორს მიზნად უსახავს ცხოვრებაში საკუთარი ადგილის (ბედის, ხვედრის) პოვნას (მოძებნას...). ეს ტექსტი მიეკუთვნება რომანტიზმს.

1. დროს (ახალგაზრდობას) _____1
2. „სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ჭირად“ _____1
3. იპოვოს საკუთარი ბედი (ადგილი ცხოვრებაში...) _____1
4. რომანტიზმი _____1

10. სიტყვებში – „წიგნი და არა საქმეში, ენაზეა და არა გულში“ – არჩილი გულისხმობს, რომ სიტყვა და საქმე დაშორებულია (მათი პრინციპები ცარიელი სიტყვებია და რეალობაში არ ხორციელდება; სიტყვით გაცხადებული პრინციპები არ ემთხვევა რეალურ ქმედებებს...). არჩილის სიტყვით, კესო იმის გამო ვერ შეიყვარებდა გიორგის, რომ იგი „გლეხკაცი იყო“ (თავადი არ იყო...). კესოს გარდა, არჩილის საყვედური მთელ საზოგადოებას (თავად არჩილს; თავადაზნაურობას...) მიემართება. არჩილი მსჯელობს ხიდბატეხილობის (გაუცხოების, წოდებათა შორის წარმოშობილი გაუგებრობის შესახებ...).

1. ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ _____1
2. გლეხი იყო _____1
3. მთელ საზოგადოებას _____1
4. ხიდბატეხილობის (გაუცხოების...) _____1

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **24**. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება, ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

I კრიტერიუმი

№	დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება	ქულები
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებულ, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	4
2.	დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებულ.	3
3.	დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებულ და გააზრებული, თუმცა ერთ შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან/და ტექსტის არაადეკვატური გაგება.	2
4.	ერთზე მეტ შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებულ.	1
5.	ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულ.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	ნაშრომის აგება	ქულები
1.	ნაშრომი უპასუხებს სამივე მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ პასუხი მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება გაცემული.	3
2.	ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს სამ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	2
3.	ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
4.	ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

№	მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება	ქულები
1.	მსჯელობა <i>სამივე</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.	6
2.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	5
3.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული).	4
4.	მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>ორ</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	3
5.	მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, <i>მეორე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული).	2
6.	<i>სამივე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	1
7.	<i>ორი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული.	0

IV კრიტერიუმი

№	ტექსტის მხატვრული თავისებურებები	ქულები
1.	ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.	2
2.	ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ მსჯელობა არ არის დასაბუთებული კონკრეტულ მაგალითებით.	1
3.	ნაშრომში არ არის <i>გამოყოფილი</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები.	0

V კრიტერიუმი

№	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ქულები
1.	ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	0

VI კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი.	2
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	1
3.	თხზულება სტილისტურად გაუმართავია.	0

VII კრიტერიუმი

№	სინტაქსური კონსტრუქციები	ქულები
1.	ნაშრომში დაშვებულია <i>ერთი</i> სინტაქსური შეცდომა.	2
2.	ნაშრომში დაშვებულია <i>ორი</i> სინტაქსური შეცდომა.	1
3.	ნაშრომში დაშვებულია <i>ორზე მეტი</i> სინტაქსური შეცდომა.	0

VIII კრიტერიუმი

№	<i>მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია</i>	<i>ქულები</i>
1.	არ არის <i>ოთხზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	არ არის <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0

11. მუცალის შეფასება მოცემულია სტრიქონში: „კაის ყმის მარჯვენა არი“. აღუდას ხევესურთა წყრომამ უბიძგა მიელო გადაწყვეტილება: როდესაც მოვეკლავ, მტერს მარჯვენას აღარ მოვაჭრი. ხევესურთა კატეგორიული მოთხოვნა ეყრდნობა უძველეს ადათს (ტრადიციას, მკლავის მოკვეთის წესს...). როდესაც აღუდა უწოდებს ხევესურთა სამართალს „მონათლულს ცოდვა-ბრალითა“, იგულისხმება, რომ ხევესურთა ადათი (ტრადიცია, წესი...) უზნეოა (უსამართლოა, ამორალურია...).

1. „კაის ყმის მარჯვენა არი“ _____1
2. მტერს მარჯვენას აღარ მოვაჭრიო _____1
3. ადათს _____1
4. ეს ტრადიცია მიუღებელია _____1

12. გადატანითი მნიშვნელობით მზის ამოსვლა იგულისხმება სიტყვებში: „ცა დღის თვალს გაახელს“. სიტყვებში – „დიდი დაძინების ხახა“ – იგულისხმება სიკვდილი (უფსკრული). ფრაზით – „ბელადის სიტყვებს ცხელი ხიფათის სუნი აუვიდა“ – გამოიხატება იგის შემფოთება (შიში, თავზარდაცემა...). ის, „რომ ქვეყნად რაღაც ახალი გაჩნდა“ გამოიწვია ბელადის გადაწყვეტილებამ იგის დასჯის შესახებ.

1. „ცა დღის თვალს გაახელს“ _____1
2. სიკვდილი _____1
3. შემფოთება (შიში...) _____1
4. იგი უნდა დასჯილიყო _____1

III. წაკითხულის გააზრება (№1 და №2 დავალებები)

13. ა) -----1ქ. 14. ბ) -----1ქ. 15. გ) -----1ქ. 16. ა) -----1ქ. 17. გ) -----1ქ.
18. ბ) -----1ქ. 19. ბ) -----1ქ. 20. ა) -----1ქ. 21. გ) -----1ქ.

I. ქართული ენა

(4) 1. შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელი ფრაზეოლოგიზმები შეესაბამება ტექსტში ხაზგასმულ სიტყვებს.

- ა) გულის გადაშლა; ბ) გულის მობრუნება; გ) გულში ჩახვევა; დ) თავის გართმევა;
- ე) თავის დაძვრენა; ვ) თვალის ახვევა; ზ) თვალში მოსვლა; თ) ხელის გამართვა;
- ი) ხელის შეწყობა; კ) ხელში ჩაგდება.

იასონი აიეტს ეახლა. მეფეს (1)მოეწონა ყმაწვილი, მაგრამ, როდესაც მისი განზრახვა შეიტყო, განრისხდა. იასონი მიხვდა, რომ ოქროს საწმისს იოლად ვერ (2)მოიპოვებდა. იგი შეევედრა მეფეს: როგორც გენებოს, ისე მიმსახურე, ოღონდ საწმისი დამიბრუნე, რადგან მის გარეშე მამაჩემის სამეფოს სამუდამოდ დაგკარგავო. მეფეს (3)წყრომამ გაუარა და ჭაბუკს შესთავაზა: დავალებას მოგცემ და თუ მას (4)დააძლევ, ოქროს საწმისს დაგიბრუნებო.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების შესაბამისი ნომრების გასწვრივ მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(4) 2. კონტექსტის გათვალისწინებით შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია ტექსტში ხაზგასმული სიტყვების შესაფერისი ანტონიმები.

- ა) ბრტყელი; ბ) გლუვი; გ) მკვრივი; დ) მრავალი; ე) მშრალი; ვ) რბილი;
- ზ) სქელი; თ) უღვევი; ი) ფაჩიზი; კ) ხშირი.

ტროპიკული ტყეები გამოირჩევა (1)მკაცრი კლიმატით. ბანანი ტროპიკების უძველესი მცენარეა და აქ მისი (2)ცლტა სახეობა ხარობს. ბანანის ნაყოფს (3)თხელი, (4)ხალიანი კანი და გემრიელი რბილობი აქვს.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების შესაბამისი ნომრების გასწვრივ მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(10) 3. ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები. ხუთ წინადადებაში თითო-თითო შეცდომაა, ხუთი წინადადება უშეცდომოა. თუ წინადადებაში შეცდომაა დაშვებული, აღნიშვნა **X** გააკეთეთ პირველი რიგის შესაბამის უჯრედში, ხოლო თუ წინადადებაში შეცდომა არაა, აღნიშვნა **X** გააკეთეთ მეორე რიგის შესაბამის უჯრედში.

	I შეცდ.	II უშეცდ.
1. ცნობილი ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი ლადო გუდიაშვილი დაიბადა თბილისში 1896 წელს.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. 1914 წელს მან დაამთავრა თბილისის სამხატვრო სკოლა და მალე პირველი პერსონალური გამოფენა მოაწყო.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მხატვართა საზოგადოებამ ახალგაზრდა ფერმწერის მანერა და სტილი იმ-თავითვე დადებითად შეაფასეს.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. ლადო გუდიაშვილმა გადაწყვიტა უკეთ გაცნობოდა ქართული ხელოვნების ისტორიას, მის ძირებს.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწორედ ამიტომ მიიღო მან მონაწილეობა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოწყობილ ექსპედიციაში.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. 1919 წელს ახალგაზრდა მხატვარი პარიზში გაემგზავრა და ჩასვლის თანავე ჩაირიცხა რონსონის „თავისუფალ აკადემიაში“.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. იმდროინდელ ფრანგულ პრესაში ხშირათ ქვეყნდებოდა სტატიები მისი შემოქმედების შესახებ.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. ფრანგმა მწერალმა რენალმა უძღვნა გუდიაშვილს მონოგრაფია, რომელიც მოხიბლული იყო ქართველი ფერმწერის ორიგინალური სტილით.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. ლადო გუდიაშვილი იყო პირველი თანამედროვე ქართველი მხატვარი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ დაასურათა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. მხატვრის ფრესკები ამშვენებს თბილისის ქაშუეთის ეკლესიის კედლებს.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(14) 4. ტექსტში დაშვებულია სულ 11 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. **გაასწორეთ** ეს შეცდომები და ხარვეზები და **ისე გადაწერეთ ტექსტი**, რომ არც ერთი წინადადების შინაარსი არ შეცვალოთ. თუ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში არ იქნება არც ერთი შეცდომა, დამატებით მოგეცემათ 3 ქულა.
(გაითვალისწინეთ, ერთ წინადადებაში შეიძლება შეგხვდეთ ერთზე მეტი შეცდომა ან ხარვეზი.)

მილიონი წელის წინ ფიჭვის ტყეები წყალმა დაჰფარა. სწორედ ამ ფიჭვის გაქვავებული ფისია ქარვა. ჩინური ლეგენდა მოგვითხრობს რომ ოდესღაც მიწაში ჩაუმარხიათ დაუოკებელი ვეფხვი რომლის სული ქარვად ქცეულა.

ქარვა მიზიდულობის უნარით გამოირჩევა. ამ თვისების გამოვლენას ადგილი აქვს ხახუნის დროს. ქარვა საკმაოდ ძვირი ღირდა რათა ადამიანებს სწამდათ, რომ იგი მრავალი სნეულებებისაგან ნკურნავდა მათ. ამ ძალზე უმნიშვნელოვანესი თვისებების გამო ქარვა საუკეთესო თილისმად მიაჩნდათ. ამის შესახებ ცნობები უძველეს წყაროებში გვხვდება.

II. ქართული ლიტერატურა

(4) 6. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს:

არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათვის ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათვის, რამეთუ თვინიერ განზრახვისა მათისა, ძე თვისი დაადგინა კათალიკოსად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთათა. მამფალი გუარამ დიდი მირეანისთვის გულძვირად იყო და მსწრაფლ ხოლო ბრძანა შეკრებაი ეპისკოპოსთაი და უდაბნოსა მამათაი. და ყოველნი შემოკრბეს ჯავახეთს. არამედ მამაი გრიგოლ არა მუნ იყო. წადიერად მოელოდეს ყოველნი და მარტოდ ანჯმნობდეს წესისა წინამძღუარნი იგი არსენი კათალიკოსისათვის და ვერა დაამტკიცეს სიტყუაი მათი.

1. *განმარტეთ*, რამ გამოიწვია, რომ „ქართლისა ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათვის ფრიად გულწყებულ იყვნეს“. (ციტირება დაუშვებელია!)
2. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით, როგორ ხსნის ავტორი გუარამ მამფალის ქცევის მოტივს. (ციტირება დაუშვებელია!)
3. *ამოიწერეთ* სიტყვები, რომლებიც მიუთითებს, რომ შეკრებილი სამღვდელთა მოუთმენლად ელოდა მამა გრიგოლის მისვლას. (არა უმეტეს სამი სიტყვისა)
4. *განმარტეთ*, რამ განაპირობა, რომ სამღვდელთა პირები გრიგოლს მოუთმენლად ელოდნენ.

(4) 7. როსტეგან მეფემ ვეზირსა და ავთანდილს თავისი დარდი გაუზიარა:

ყმა მეფისა ბრძანებასა ლალი წყნარად მოისმენდა,
თავ-მოდრეკით გაიღიმნა, გაცინება დაუშვენდა,
თეთრთა კბილთათ გამომკრთალსა შუქსა ველთა მოაფენდა.
მეფე ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რად შეგრცხვენდა?“
კვლა უბრძანა: „თავსა ჩემსა, რას იცინი, რად დამგემო?
ყმამან ჰკადრა: „მოგახსენებ და ფარმანი მიბოძეო,
რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გაჰრისხდე, არ გასწყერეო,
არ გამხადო კადნიერად, არ ამიკლო ამას ზეო“.

1. *გაიხსენეთ*, რა ადარდებდა როსტეგანს.
2. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ავტორი ჰიპერბოლას იყენებს.
3. *განმარტეთ*, რა გაუკვირდა როსტეგანს.
4. *განმარტეთ*, რის გამო სთხოვა ავთანდილმა მეფეს, „ფარმანი მიბოძეო“.

(3) 8. დავით გურამიშვილი გვიამბობს:

მომხსენებელი არ მრჩების, მაშფოთებს, ეს მალონებსა.
ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა, ვამე, ვინ მამიფონებსა?
თუ არ შევკრებ და არ უძღვნი ყრმათ ია-ვარდის კონებსა,
ცოცხალიც არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინდა მამიგონებსა?!

1. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით მეორე სტრიქონის შინაარსი.
2. *ამოიწერეთ* ორი სიტყვა, რომლებიც გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს ნაწარმოებთა კრებულს.
3. *განმარტეთ*, რა არის ამ სტროფის მთავარი სათქმელი. (ციტირება დაუშვებელია!)

(4) 9. გრიგოლ ორბელიანის ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ვკითხულობთ:

ჰე, ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?
დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მიმფენი,
ნუთუ ესლა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა?
დაყრუებულსა,
გზა შეუვალსა,
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,
სად სახე მეფის,
დიდის თამარის,
სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!..

1. *დაასახელეთ* წუთისოფლის თვისება მესამე სტრიქონის მიხედვით. (ციტირება დაუშვებელია!)
2. *განმარტეთ*, რა იგულისხმება გადატანითი მნიშვნელობით სიტყვებში: „დიდება ჩვენი, ცად

სხივ-მიმფენი“.

3. ამოიწერეთ სტრიქონი, რომელშიც გამოხატულია პოეტის გაწბილება საქართველოს აწმყოთი.
4. დაასახელეთ ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც მიეკუთვნება ეს ტექსტი.

(4) 10. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“ ავტორი გადმოგვცემს მთავარი პერსონაჟის დაღუპვის ამბავს:

ვინც მოჰკვდა, თავსა მოუკვდაო, იტყვიან ხოლმე გლეხები. განა მართალი არ არის! არა, ზოგჯერ მართალი არ არის. აქ იყო ერთი კაცი, რომელსაც მოუკვდა ოთარაანთ ქვრივი!.. ეს იყო სოსია მეწისქვილე. თითქმის ოცდაათი წელიწადია მაგ დედაკაცზედ გული შევარდნილი ჰქონია. ჯერ გასათხოვარი ყოფილა, უთხოვნია და დაუწუნიათ. ის დღეა და ის დღე, სხვა აღარავინ უნდომნია, გული აღარავისზედ მისვლია. როცა ოთარაანთ ქვრივი დაქვრივდა, მაშინ ერთხელ კიდევ გაუარა თურმე გუნებაში იმისმა შერთვამ, მაგრამ თავის გულში სთქვა: „მაგას ასეთი ქმარი მოუკვდა, რომ მე ფეხის ჩლიქადაც არ ვეკადრებოდი... ველარ შევბედავ, ველარა!“ სთქვა და ახლოც თურმე აღარ გაუარა ოთარაანთ ქვრივსა...

1. გადმოეცით თქვენი სიტყვებით გლეხების ნათქვამი: „ვინც მოჰკვდა, თავსა მოუკვდაო“.
2. განმარტეთ ამ მონაკვეთის მიხედვით, რატომ არ არის „ზოგჯერ მართალი“ გლეხების ეს ნათქვამი.
3. ამოიწერეთ მეწისქვილის თვითდაკინების აღმნიშვნელი ხატოვანი გამოთქმა. (არა უმეტეს სუთი სიტყვისა)
4. განმარტეთ, მეწისქვილის რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში.

(4) 11. ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ მოთხრობილია, რომ ჯოყოლასთან სტუმრად მყოფმა ქისტმა იცნო ზვიადაური:

მაგრამ, როს ნახა უცნობი, ფერი დაედო მგლისაო; ადვილად აიცნობოდა, რასაც ჰფიქრობდა ისაო. არ ეჭაშნიკა დროულს ქისტს დანახვა უცხოს ყმისაო.	გული სცემს ბრაზმორეული, სახეც არ ჰმაღავს ამასა, ხანჯრისკე ხელი მიუდის, ჩუმად სინჯავდა დანასა, მაგრამ სტუმარი სხვის სახლში ვერ გაჰშლის ხათაბალასა.
---	--

1. გადმოეცით თქვენი სიტყვებით, რა განწყობილება დაეუფლა ხნიერ ქისტს.
2. ამოიწერეთ ხატოვანი გამოთქმა, რომელშიც ჩანს, რომ „დროულ ქისტს“ ეს განწყობილება სახეზე შეეტყო.
3. განმარტეთ, რა განზრახვა ჰქონდა ჯოყოლასთან მყოფ ქისტს.
4. განმარტეთ, რატომ არ მოიყვანა ხანში შესულმა ქისტმა საკუთარი განზრახვა სისრულეში.

(4) 12. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“:

„სად არ ვყოფილვარ... რა არ მომივლია, გაღუნული დანით – მაჩეკეთი ეკლიანი ბუჩქები – კაატინგა მიკაფია, ოკეანეში თეთრ მტერს დავდევდი, მგონი, მიყვარდა, მათა მწვერვალზე მიოცნებია და ამისთვის ოო, როგორ ვუწამებოვართ... ჰეე, რამდენი, რამდენნაირი სიცოცხლე მინახავს და თქვენ კი, მისალოც ინტერვიუერებს, გაინტერესებთ, თუ რამდენ წუთს ვკარგავ ვერმიშელის რიგში, მე კი სწორედ მაშინ, ვინ იცის, სად და როგორ დავბოდიხობ – დიდებული რამაა თვალი, მაგრამ სულ სხვაა ფანტაზია, ასყურა და ასთვალნიანი და კაცი ვერ იტყვის, თუ ვინაა ჭეშმარიტად ნამყოფი პერუსა და ნიგერიისში, მე, თუ რომელიმე ჩიბუხგაჩრილი ლოცმანი, რომელმაც გემით მთელი მსოფლიო შემოიარა“.

1. განმარტეთ, რის თქმა სურს ვასიკო კეჟერაძეს სიტყვებით: „ჰეე, რამდენი, რამდენნაირი სიცოცხლე მინახავს“.
2. განმარტეთ, რატომ არ ჰკარგავს ვასიკო დროს „ვერმიშელის რიგში“ (ციტირება დაუშვებელია!)
3. ამოიწერეთ სიტყვები, რომელთა მეშვეობითაც პერსონაჟი ფანტაზიას ახასიათებს. (არა უმეტეს სამი სიტყვისა)
4. განმარტეთ, რა არის ამ მონოლოგის მთავარი სათქმელი.

III. წაკითხულის გაახრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება № 1

ყურადღებით წაკითხეთ ნაწყვეტები გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „ჩაკლული სული“:

ლენინმა განსაკუთრებული სახელი უწოდა სტალინს – „ლეგენდარული ქართველი“. ლეგენდარული ჭარბად იყო სტალინში, ოღონდ ქართული – მეჩხრად... სტალინი მხოლოდ იმდენად იყო ქართველი, რამდენადაც საპირისპირო პოლუსი იყო ქართველობისა.

პრეისტორიული ხელიკის გაქვავებული თავი – ასე დაახასიათა იგი ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა, რომელმაც, მგონი, არც კი იცოდა, როგორ ზუსტად მოარტყა მიზანს... ბავშვობაში ყვავილი მოეხადა და ამ სწეულების ძლივს შესამჩნევი კვალი კიდევ უფრო ამკვეთრებდა პრეისტორიულობას თავისას; ასევე ჭორფლი, რომელიც მისი სახის ფერს ციცარს ამსგავსებდა... მთელს მის არსებაში უბედურების მომტანის ცივი სისხლი იგრძნობოდა, რომელიც მზაკვრობით ყველას აჯობებს. მისი მშერის წინაშე ყოველი ნება უკან იხევდა.

სტალინი ნაბიჯებს კატასავით ნელა, რბილად ადგამდა, თითქოს სურდა, რაღაცას დამაღვოდა ან ვინმეს შეუმჩნეველად თავს დასხმოდა... პიროვნება კი არა, უმალ ნიდაბი იყო. მხოლოდ არალეგალური ცხოვრების გამო როდი ატარებდა სტალინი ამდენ ფსევდონიმს. სტენდალის მსგავსად, ფსევდონიმები მისთვისაც ნამდვილი სახელები იყო. სახელით იხელთებ პიროვნებას, ასე ფიქრობდნენ ძველი ეგვიპტელები. სტალინი გამუდმებით იცვლიდა სახელებს, ამიტომ მუდამ მოუხელთებელი და გამოუცნობი რჩებოდა, ხოლო თუ დააპატიმრებდნენ, მარჯვედ უსხლტებოდა შემპყრობთ. მან ბევრი ციხე მოიარა, ბათუმში, ტფილისში, ბაქოში, ცენტრალურ რუსეთში და ციმბირში – ხშირად გარბოდა ციხეებიდან. რამდენჯერმე გადაასახლეს – ისევ და ისევ გარბოდა და სულ სხვა ადგილას ამოყვინთავდა ხოლმე ახალი სახელით, ახალი ნიდაბით. შესამჩნევ კვალს არსად ტოვებდა.

სტალინი გველივით იცვლიდა კანს და ამით ხელშეუხებლად ინახავდა შინაგან არსებას. მაგრამ თავდაცვის სხვა ხერხიც ჰქონდა: სინამდვილის გაბიაბრუება. ერთხელ ბაქოს ციხეში პოლიტიკური პატიმრები აიძულეს როზგებმომარჯვებული ჯარისკაცების მწკრივებს შორის გაეგლოთ. სტალინმაც გაიარა – მაგრამ როგორ? ხელში ბროშურა ეჭირა – უთუოდ მარქსისტული – კითხულობდა და ისე მიაბიჯებდა, თითქოს მას არაფერი ეხებოდა. დამსჯელების აბუჩად აგდებით საკუთარი პიროვნება მორალური შეურაცხყოფისაგან იხსნა. აქ უკვე ნაპოვნი ჰქონდა თავისი ნამდვილი სტიქია...

სიცოცხლის მიმართ მტრულად იყო განწყობილი და ყველგან მტრები ელანდებოდა. მტრის დასაძლევად ორი რამ არის საჭირო: თავდაჭერა და ირონია. სტალინის თავდაჭერა იოგებისას ჰგავდა, ხოლო მისი ირონია უბადლო იყო. ნელა, გაუნძრევლად, გულგრილად აღიზიანებდა იგი მოწინააღმდეგეს, აქეზებდა, დასცინოდა, წყობიდან გამოჰყავდა. ის ცილისწამებითა და დამცირებით სპობდა თავის მტრებს... იყო თუ არა ბოროტი ჩვეულებრივი აზრით? არა. ის არ ყოფილა მკვლელი, არც ყაჩაღი, არც არანაირი დამნაშავე. პირიქით: საუკეთესო სურდა ადამიანებისათვის – და მაინც: მის ხასიათში იმთავითვე რაღაც უცხო გვარის ბოროტი თესლი ბუდობდა. იქნებ პირად სიამოვნებას მიეღტვოდა? სულაც არა. მიწიერი სიამოვნებანი – ქალი, ღვინო, აზარტული თამაში, ფული – არ არსებობდა მისთვის. ნიშნეულია, რომ ქართულ ლხინში, სადაც მუდამ დიონისეს აღიდებენ, როცა ყველა სხვა თვრებოდა, ის ერთადერთი, ფსიხელი რჩებოდა. ის გულუხვი იყო, რამდენადაც კი შეეძლო ასეთი ყოფილიყო, და დახმარებისთვის მუდამ მზად იყო, ვითარცა სულიერი მოძღვარი და მაინც არავისთან იყო ახლო. არ ჰყოლია არც ერთი მეგობარი, რადგან ასეთი ვინმე – მეგობარიც რომ ყოფილიყო – სამუდამოდ მის ქვეშევრდომად უნდა დარჩენილიყო. შესაძლოა, ეს გულის სიდრმეში აწუხებდა კიდევ. შეიძლება ხანდახან თრგუნავდა საკუთარი ხასიათი. ასეთ წუთებში იქნებ ღრმა კაემანი იპყრობდა. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს კაემანი თუნდაც ერთი წამით სხვებისთვის გაემხილა. მუდამ რაღაც ხელს უშლიდა გული გაეხსნა...

დამარცხებულნი ქედს იხრიდნენ მის წინაშე, იჩოქებდნენ და ცოდვებს ინანიებდნენ. „ლეგენდარული ქართველის“ გამარჯვებები ყველას უკვირდა და ლენინის მიერ შერქმეულ ამ მეტსახელს ახლა ყველა ყურადღებით აკვირდებოდა. უკვირდათ და ვერ გაეგოთ: როგორ? საიდან ასეთი ძალა ამ ველურ, უხეშ კავკასიელში? მათ ვერ გაეგოთ, რომ სტალინის ბოლშევიკურ ფსიქიკაში დაუმრეტელი ინსტინქტები კვებავდნენ რაციოს. სწორედ ეს იყო გადამწყვეტი გამარჯვებისთვის. გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, სტალინი დღითი დღე იზრდებოდა და ვერავითარი ძალა ვეღარ აჯობებდა მას...

რევოლუციის ბედი, ლენინი, კუბოში იწვა ბალზამირებული – მითი ახალი ფარაონისა. რევოლუციის მებრძოლი ტროცკი, გაგდებული, ბოსფორის ნაპირებზე მემუარებს წერდა. რევოლუციის საჭე ხელთ ეპყრა სტალინს. ის იჯდა კრემლში როგორც ადამიანადქცეული რადიომიმღები: საბჭოთა ქვეყნის კიდით კიდიდან უთვალავ ტალღებს იღებდა. ის ამ ტალღების მხოლოდ მიმღები კი არ იყო, არამედ მათი შემოქმედი და განმსჯელი... თვითონ უცნაური მოლექულა თვრამეტი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშათა მასების მოლექულურ პროცესებში ყვინთავდა და არც ერთი მოლექულა ხელშეუხებელი არ დარჩენია. სხვა თანამებრძოლნი რევოლუციამდე რუსეთიდან შორს ცხოვრობდნენ: რუსეთის განვითარებას ევროპის ემიგრანტული მანსარდებიდან ადევნებდნენ თვალს. სტალინი კი მუდამ მუშათა მასების ქარბორბალაში ცხოვრობდა – მუდამ უჩინარი, მაგრამ ქმედითი ელემენტი. ძველ დროში ტომის ბელადში მთელი ტომის ძალა იყრიდა თავს, სტალინიში შეგროვდა პროლეტარული ენერჯია, და როცა რევოლუცია ძლევამოსილად გაიშალა, მან ამოყვინთა: ის რევოლუციის განხორციელებად იქცა. ის უკვე აღარ იყო ადამიანი, ის იყო არსება, სასტიკი და საშინელი...

ყველა აღტაცებული იყო იმით, რომ მას არ იზიდავდა მიწიერი სიამოვნებანი... მაგრამ ვერ ამჩნევდნენ, რომ სტალინის სრულებით არ სჭირდებოდა ასეკეტიზმი: ასეთი რაღაცეებისთვის მას უბრალოდ ორგანო აკლდა... დოსტოვესკის სიტყვებს: „ჯოჯოხეთი არის ტკივილი იმის გამო, რომ აღარ ძალგის სიყვარული“, ყველაზე მეტი თავსატეხი უნდა გაეჩინა მისთვის. მას არ ჰქონდა სიყვარულის ნიჭი. აქ დაელო ხახა უღრმეს სიცარიელეს მისი კაემნისას, დამნაშავეობის შეუვალ ნიღაბს რომ ამოჰფარებოდა.

საქმეებში ჩაფლული სტალინი კრემლში იჯდა, ძალაუფლების პატრონი, მაგრამ არა ხელმწიფე, არსება და არა ადამიანი, რევოლუციური ძალების ელექტროგაყვანილობა გამაფრთხილებელი წარწერით „მომაკვდინებელია“. მასთან ტელეფონით საუბარიც კი ყველას თრგუნავდა. მისი საშიში ზემოქმედებისაგან არავინ იყო დაზღვეული. სისასტიკით აღსავსე ძლევამოსილად აღმართულიყო, როგორც საბჭოეთის – და, შესაძლოა, მთელი მსოფლიოს – ცივი და ბრმა ბედისწერა. როცა ხანდახან იღუძალი კონტაქტი გადაირთვებოდა, როცა ის – შეუდრეკელი – დროებით დენის ქსელიდან გამობობლდებოდა დარეტიანებული და გაუცხოებული, როცა შეშინებული გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე, აი, მაშინ სტალინი მხოლოდ სოსო ჯუღაშვილი იყო, უბრალო ქართველი. მაშინ ახსენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც ესდა შემოენახა: საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალჟამიერის ჰანგი და ქართული გინება: „მაგათი დედა კი ვატირე“.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული სამ-სამი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 13. როგორ ახასიათებს ავტორი სტალინს პირველ აბზაცში?
 - ა) სტალინი ლეგენდარულ ქართველებს ჰგავდა თავისი ხასიათით.
 - ბ) სტალინის ხასიათში ქართველთა თვისებები ჭარბად იყო.
 - გ) სტალინი სრულიად არ ჰგავდა ქართველებს თავისი ხასიათით.
- (1) 14. რა მიზანს ისახავს ავტორი მეორე აბზაცში?
 - ა) გვიჩვენოს თანამშრომელთა დამოკიდებულება ისტორიული პირის მიმართ.
 - ბ) დადებითად განაწყოს მკითხველი საკუთარი პერსონაჟის მიმართ.
 - გ) შექმნას პერსონაჟის ფიზიკური და სულიერი პორტრეტი.
- (1) 15. რატომ ატარებდა სტალინი ამდენ ფსევდონიმს?
 - ა) იმიტომ, რომ სურდა მოუხელთებელი და გამოუცნობი ყოფილიყო.
 - ბ) იმიტომ, რომ ფსევდონიმი მისთვის ნამდვილი სახელი იყო.
 - გ) იმიტომ, რომ ხშირად აპატიმრებდნენ და რამდენჯერმე გადაასახლეს.
- (1) 16. რა აზრის ილუსტრირება სურს ავტორს იმის აღწერით, თუ როგორ გაიარა სტალინმა როზგომომარჯვებულ ჯარისკაცთა მწკრივში?
 - ა) სტალინი განსაკუთრებული ნიჭის წყალობით გველივით იცვლიდა კანს.
 - ბ) სტალინი ისე კითხულობდა ბროშურას, თითქოს მას არაფერი ეხებოდა.

გ) სტალინს ნებისმიერ სიტუაციაში შეეძლო თავისი შინაგანი არსების დაცვა.

(1) 17. რის გამო ვარაუდობს ავტორი, რომ სტალინს ხანდახან ღრმა კაეშანი იპყრობდა?

- ა) იმის გამო, რომ მას გულით მოღსენა არ შეეძლო.
- ბ) იმის გამო, რომ მას მეგობრობის უნარი არ ჰქონდა.
- გ) იმის გამო, რომ მიწიერი სიამოვნებანი მისთვის უცხო იყო.

(1) 18. რატომ იყო, ავტორის აზრით, სტალინი უძლეველი?

- ა) იმიტომ, რომ იგი მტრებს დაუნდობლად უსწორდებოდა.
- ბ) იმიტომ, რომ მისი ხასიათის შეცნობა ვერავინ შეძლო.
- გ) იმიტომ, რომ მის რაციოს ინსტინქტები ასაზრდოებდა.

(1) 19. რა აზრის გამოსახატავად დასჭირდა ავტორს იმის თქმა, რომ „ტომის ბელადში მთელი ტომის ძალა იყრიდა თავს“?

- ა) სტალინი ლენინის მემკვიდრედ გამოცხადდა.
- ბ) სტალინი მასების ქარბორბალაში ცხოვრობდა.
- გ) სტალინმა მასების ენერჯია შეაგროვა.

(1) 20. რატომ უნდა „გაეჩინა ყველაზე მეტი თავსატეხი“ სტალინისათვის დოსტოევსკის სიტყვებს?

- ა) იმიტომ, რომ სტალინი უნებურად „დამნაშავეობის ნიღაბს ამოჰფარებოდა“.
- ბ) იმიტომ, რომ სტალინს სიყვარულის განცდა არ შეეძლო.
- გ) იმიტომ, რომ სტალინს სრულებით არ სჭირდებოდა ასკეტიზმი.

(1) 21. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: „როცა ის – შეუდრეკელი – ღროებით დენის ქსელიდან გამობობლდებოდა“?

- ა) სტალინი მუდმივად ტკბებოდა ძალაუფლების პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთით.
- ბ) სტალინი ძალაუფლების პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთს ვერასოდეს იხსნიდა.
- გ) სტალინი ძალაუფლების პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთს იხსნიდა ხოლმე.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულნი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამძვინვარება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამომვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკე ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 24.

გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ სტალინის პორტრეტის შესახებ (დაახასიათეთ ამ პერსონაჟის მორალურ-ზნეობრივი სახე და გამოკვეთეთ მისი ინდივიდუალური თვისებები);
- იმსჯელეთ ავტორის დამოკიდებულების შესახებ პერსონაჟის მიმართ (რამდენად სუბიექტურად მიგაჩნიათ იგი, რა არის მის მსჯელობაში დამაჯერებელი ან ნაკლებად სარწმუნო და რატომ);
- იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი მიზანდასახულობა და რა საშუალებებითაა მიღწეული მხატვრული ეფექტი.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

ყურადღებით წაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ერთხელ სადამოთი“:

ბათუმის მზე ჩასავალად ენთო,
მშვიდი ქარი ხმაურობდა ზღვაზე.
ცხოვრებისგან დაღალული „დენდი“
გემს უცდიდა და მიაშობ ასე:
მასსოვს ქალი, ვერონიკა, ლალი,
ორკესტრით და ხალხით ფეთქდა ბალი,
ვერონიკას მოსწყენოდა შუბლი,
ვერონიკას შუბლზე აჩნდა ზრახვა;
ჩამოსულთა მარტოობის ღრუბლი,
არც შეხვედრა, არც ნაცნობის ნახვა.
მეგობრებში მე ყველაზე ადრე
ფიქრში მყოფ ქალს ახალგაზრდამ მკრთალი
სალამი და თაიგული ვკადრე
და ვიგრძენი მშვენიერი ქალი.
რა წრის იყო – იკითხავდა ვინა?
ვადარებდი ვერონეზეს ნახატს, –
სადმე ძვირფასს გადაგვკრავდი ღვინოს,
თუ ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს.
შემდეგ მოხდა... პეტროგრადის ხანა:
ახლობელი აქ არავინ მყავდა,
მოწყენილი, მღვრიე ყავახანა
ჩემს უმიზნო მარტოობას ჰგავდა.
გამოვედი გზად ბურანში მყოფი,
ნევას ედგა შენისღების ბუნდი.
ერთ ქალს მხარზე გადაედო თოფი
და გარს ერტყა მეგობრების გუნდი.
ვერონიკა! ვერონიკა! დადგა.
აჰ, საით სად! იგი გასცდა ხიდეს,
რა თქმა უნდა, ვერ შემიცნო, რადგან
კლასი კლასის წინააღმდეგ მიდის.
მე კი ვიდექ წყალთან სადამომდე,
სადაც მღვრიე დამდგარიყო ღვარი,
„უცხო ქვეყნად მარტოობას გრძნობდე,
ნეტარება არის რაღაცგვარი“.
გავცქეროდი კაფეებს და კინოს,
მივყვებოდი მოგონებათ ნაკადს,
როცა ძვირფასს გადაგვკრავდი ღვინოს
და ხელგაშლით ვთამაშობდი ქაღალდს.
მეორე დღეს ისევ შემხვდა იგი

და მომესმა საუბარი მისი:
„საქართველო ეს ზღაპრული მზეა,
უკეთესის ბედისაა ღირსი.
ამ მხარეზე უფრო მეტი ვიცი,
იგი უფრო შეიქმნება მშვენი!
როცა ძალა და უფლება მტკიცე
დამყარდება იმ მხარეში ჩვენი.
ერთხელ გრძნობა მარტოობის მღვედა,
ასე მოხდა – კაცია თუ ბედი,
სალამი და ყვავილების კონა
არავისი მასსოვს, ერთის მეტი!
ის დღე, როგორც ახალგაზრდა მუხა,
საუცხოო, ფრიალოზე ნარგი,
ის დღე ჩემთვის ყველაფერი იყო,
ყოველ დღეზე უნვეულოდ კარგი!“
„ვერონიკა“ – მსურდა მეთქვა მაშინ,
მაგრამ გრძნობამ შემაჩერა რაღაც,
ჩვენ ხომ... ძვირფასს გადაგვკრავდით ღვინოს
და ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს.
კლასი კლასის წინააღმდეგ! მკვეთრი
ხმით დაიძრა მესამე დღე რუხი,
რა თქმა უნდა, მე ვიყავი თეთრი,
როს თოფების ატყდა ჭახაჭუხი...
ვერონიკა მე ვიცანი გვიან,
რომ იტყქა და ამღვრეულ ბოლში
მკერდში, გულთან გამიარა ტყვიამ
და დავეცი, სისხლიანი, თოვლში.
„ვერონიკა!“ – დავიძახე მაშინ
და გაფითრდა ქალის თვალთა ცქერა,
რაღაცასი გახსენება მსურდა
და, ვერასგზით... და ვერა და ვერა.
ან კი როგორ? სხვა სახელიც ერქვა
ვერონიკას, ხელთ თოფი რომ ეპყრა.
ქარხანაში უწოდებდნენ თურმე:
გაბედული კალუგელი ვერკა.
ან კი როგორ? რომანტიულ სახეს
და ლამაზ ხელს შრომა აჩნდა დაღად.
ჩვენ კი... ძვირფასს გადაგვკრავდით ღვინოს
და ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული სამ-სამი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 13. ტროპული მეტყველების *რომელ* სახეობას იყენებს ავტორი სტრიქონში: „ორკესტრით და ხალხით ფეთქდა ბაღი“?
- ა) ჰიპერბოლას.
 - ბ) შედარებას.
 - გ) მეტაფორას.
- (1) 14. რა იგულისხმება სიტყვებში: „ვადარებდი ვერონეზეს ნახატს“?
- ა) ვერონიკას მოკრძალება.
 - ბ) ვერონიკას სილადე.
 - გ) ვერონიკას სილამაზე.
- (1) 15. რა იგულისხმება სტრიქონში: „შემდეგ მოხდა... პეტროგრადის ხანა“?
- ა) რუსეთის რევოლუცია.
 - ბ) საქართველოს გასაბჭოება.
 - გ) ბოლშევიკური რეპრესიები.
- (1) 16. რის შესახებ მეტყველებს ვერონიკას სიტყვები: „ის დღე ჩემთვის ყველაფერი იყო“?
- ა) მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა უცხო ქვეყნის ხილვამ.
 - ბ) მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა რევოლუციურმა მოძრაობამ.
 - გ) მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მთხრობელთან შეხვედრამ.
- (1) 17. რას გულისხმობს ვერონიკა სიტყვებში: „საქართველო... უკეთესი ბედისაა ღირსი“?
- ა) საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა გახდეს.
 - ბ) საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლება უნდა დამყარდეს.
 - გ) საქართველო რუსეთის იმპერიას უნდა შეუერთდეს.
- (1) 18. რას გულისხმობს მთხრობელი სიტყვებში: „მაგრამ გრძნობამ შემაჩერა რაღაც“?
- ა) მან იგრძნო, რომ მათ ერთმანეთი არ უყვარდათ.
 - ბ) მან იგრძნო, რომ ქალი მის გარეშე ვერ გაძლებდა.
 - გ) მან იგრძნო, რომ მათ შორის უფსკრული იყო.
- (1) 19. რომელ სტრიქონში ჩანს, რომ ვერონიკამ გასროლის შემდეგ იცნო მთხრობელი?
- ა) „და დავეცი, სისხლიანი, თოვლში“.
 - ბ) „ვერონიკა!“ – დავიძახე მაშინ“.
 - გ) „და გაფითრდა ქალის თვალითა ცქერა“.
- (1) 20. რა ფუნქციას აკისრებს ავტორი შემდეგი მონაკვეთის განმეორებას: „ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს და ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს“.
- ა) მთხრობლის ნოსტალგიური განცდის ჩვენების.
 - ბ) მთხრობლის ცხოვრების წესის ჩვენების.
 - გ) მთხრობლის სულიერი მარტოობის ჩვენების.
- (1) 21. რა არის ამ ლექსის მთავარი სათქმელი?
- ა) კლასობრივი დაპირისპირება ანადგურებს საქართველოს დამოუკიდებლობას.
 - ბ) კლასობრივი დაპირისპირება ანადგურებს არისტოკრატიულ ფენას.
 - გ) კლასობრივი დაპირისპირება ანადგურებს ადამიანურ ურთიერთობებს.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

*თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულნი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, **დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.***

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამომვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 24.

გააანალიზეთ ლექსი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ მთხრობლის მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ ლექსში რამდენჯერმე განმეორებულ მონაკვეთს: „ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს და ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს“);
- იმსჯელეთ ვერონიკას მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ მის მონოლოგს);
- იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი და რა საშუალებებითაა მიღწეული მხატვრული ეფექტი.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

შეფასების სქემა

I. ქართული ენა

(4) 1.

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ

- 1.
- 2.
- 3.
- 4.

(4) 2.

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ

- 1.
- 2.
- 3.
- 4.

(10) 3. I II
შეცდ. უშეცდ.

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.
- 7.
- 8.
- 9.
- 10.

(14) 4. მილიონი წლის(1) წინ ფიჭვის ტყეები წყალმა დაფარა(2). სწორედ ამ ფიჭვის გაქვავებული ფისია ქარვა. ჩინური ლეგენდა მოგვითხრობს ___(3) რომ ოდესღაც მიწაში ხაუშარხავთ(4) დაუოკებელი ვეფხვი ___(5) რომლის სული ქარვად ქცეულა.

ქარვა მიზიდულობის უნარით გამოირჩევა. ეს თვისებების გამოვლინდება (ვლინდება)(6) ხახუნის დროს. ქარვა საკმაოდ ძვირი ღირდა ___(7) რადგან(8) ადამიანებს სწამდათ, რომ იგი ძრავალი სნეულებისაგან(9) კურნავდა (განკურნავდა)(10) მათ. ამ უმნიშვნელოვანესი (ძალზე მნიშვნელოვანი)(11) თვისებების გამო ქარვა საუკეთესო თილისმად მიიჩნდათ. ამის შესახებ ცნობები უძველეს წყაროებში გვხვდება.

5. მაქსიმალური ქულაა - 8.

შეფასების კრიტერიუმები

I. კრიტერიუმი

№	ტექსტის ორგანიზება	ქულები
1.	ტექსტი ადეკვატურადაა ორგანიზებული და პასუხი გაცემულია ორივე მითითებაზე.	2
2.	ტექსტი ადეკვატურადაა ორგანიზებული, მაგრამ პასუხი გაცემულია მხოლოდ 1 მითითებაზე ან ტექსტი ნაწილობრივ ადეკვატურადაა ორგანიზებული და პასუხი გაცემულია ორივე მითითებაზე.	1
3.	ტექსტი ნაწილობრივ ადეკვატურადაა ორგანიზებული და პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ მითითებაზე ან დავალება არაადეკვატურადაა გაგებულნი.	0 ნაწერი არ სწორდება

II. კრიტერიუმი

№	დასაბუთება	ქულები
1.	კარგად არის დასაბუთებული ორივე მითითება.	2
2.	კარგად არის დასაბუთებული ერთი მითითება და მეორე – ნაწილობრივ.	1
3.	ნაწილობრივ არის დასაბუთებული ორივე მითითება.	0

III. კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	1
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია და ტექსტი სტილისტურად გაუმართავია.	0

IV. კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	ქულები
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	2
2.	არ არის დაშვებული ხუთზე მეტი შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ხუთზე მეტი შეცდომა.	0

V. კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	ქულები
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	1
2.	დაშვებულია ორზე მეტი შეცდომა.	0

II. ქართული ლიტერატურა

6. ის, რომ „ქართლის ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათვის გულწყებულ იყვნეს“, გამოიწვია მირეანის მიერ არსენის კათალიკოსად დადგინებამ ეპისკოპოსთა უმრავლესობის თანხმობის გარეშე (ეპისკოპოსთა აზრის გაუთვალისწინებლად, ეპისკოპოსთა სურვილის საწინააღმდეგოდ...). ავტორი ამბობს, რომ გუარამ მამფალი განრისხებული (გამწყვრალი, გულმოსული) იყო მირეანის საქციელის გამო. „წადიერად მოელოდეს ყოველი“. სამღვდლო პირები მოუთმენლად იმიტომ მოელოდნენ გრიგოლს, რომ გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდათ (თვლიდნენ, რომ სწორედ გრიგოლს შეეძლო პრობლემის მოგვარება...).

1. ეპისკოპოსთა აზრის გაუთვალისწინებლობამ _____ 1ქ.
2. გუარამ მამფალი განრისხებული იყო მირეანის საქციელის გამო _____ 1ქ.
3. „წადიერად მოელოდეს ყოველი“ („წადიერად მოელოდეს“) _____ 1ქ.
4. მათ გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდათ _____ 1ქ.

7. როსტევეანს ადარდებდა, რომ ისე დაბერდა, სამამაცო თვისებების მქონე მემკვიდრე არ რჩებოდა (ვერ ტოვებდა მის ბადალ მობურთაღსა და მშვილდოსანს...). „თეთრთა კბილთათ გამოძერთაღსა შუქსა ველთათ მოაფენდა“. როსტევეანს ის გაუკვირდა, რომ ავთანდილმა მეფის ნათქვამზე გაიცინა. ავთანდილმა იმიტომ სთხოვა მეფეს, „ფარმანი მიბოძეო“, რომ მეფის განრისხების შიში ჰქონდა (წინასწარვე სურდა თავი დაეზღვია მეფის წყრომისაგან...).

1. არაბეთში მისი შესადარი რაინდი არ რჩებოდა _____ 1ქ.
2. „თეთრთა კბილთათ გამოძერთაღსა შუქსა ველთათ მოაფენდა“ _____ 1ქ.
3. ის, რომ ავთანდილმა მეფის ნათქვამზე გაიცინა _____ 1ქ.
4. წინასწარვე სურდა თავი დაეზღვია მეფის წყრომისაგან _____ 1ქ.

8. ვინ მანუგეშებს ცოდვებით დამძიმებულს (ვინ არის ის, ვინც ჩემს ცოდვებს განაქარვებს...), „ია-ვარდის კონებსა“. ამ სტროფის მთავარი სათქმელია ისაა, რომ მომგონებლის გარეშე დარჩენილ ავტორს სურს, თავისი შემოქმედებით მოიპოვოს უკვდავება (ფიქრობს, მხატვრული ნაწარმოებებით დატოვოს კვალი შთამომავლობის ხსოვნაში...).

1. ვინ იზრუნებს ცოდვით დამძიმებული ჩემი სულის ხსნისათვის _____ 1ქ.
2. „ია-ვარდის კონებსა“ _____ 1ქ.
3. ავტორს სურს, თავისი შემოქმედებით დატოვოს კვალი შთამომავლობის ხსოვნაში _____ 1ქ.

9. მესამე სტრიქონის მიხედვით, წუთისოფელში სიკეთე (დიდება, ძლიერება...) მუდმივად როდი არსებობს; ის მხოლოდ დროდადრო ვლინდება, წარმავალია, და მისი არსებობის შეწყვეტის შემდეგ წუთისოფელში წარმართველი ხდება ბოროტება. სიტყვებში „დიდება ჩვენი, ცად სხივ-მიმფენი“ იგულისხმება შემდეგი: თამარის მეფობის ხანაში საქართველო იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი დიდება ზეცას აცისკროვნებდა (ცას სწვდებოდა). „ნუთუ ესღა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა?“ ეს ტექსტი მიეკუთვნება ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელიც ცნობილია რომანტიზმის სახელწოდებით.

1. წუთისოფელში სიკეთე მუდამ იცვლის სახეს (გადაიქცევა ბოროტებად) _____ 1ქ.
2. უწინ საქართველო იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი დიდება ზეცას აცისკროვნებდა _____ 1ქ.
3. „ნუთუ ესღა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა?“ _____ 1ქ.
4. რომანტიზმი _____ 1ქ.

10. გლეხების ნათქვამი: „ვინც მოჰკვდა, თავსა მოუკვდა“ აღნიშნავს იმას, რომ ადამიანის სიკვდილი ტრაგედიაა მხოლოდ მისთვის, რადგან ცალკეული ადამიანების გარდაცვალების შემდეგ სიცოცხლე გრძელდება. გლეხების ეს ნათქვამი არ არის „ზოგჯერ მართალი“, რადგან ხდება ისე, რომ გარდაცვლილის ახლობლები ანდა გარეშე ადამიანებიც კი ამ ფაქტს საკუთარ ტრაგედიად მიიჩნევენ. „მე ფეხის ჩლიქადაც არ ვეკადრებოდი“. ამ მონაკვეთში ჩანს მეწისქვილის ერთგული სიყვარულის უნარი.

1. სიკვდილი მხოლოდ გარდაცვლილისათვისაა ტრაგედია _____1ქ.
2. ზოგჯერ ადამიანები უცხო პიროვნების გარდაცვალებასაც საკუთარ ტრაგედიად მიიჩნევენ -1ქ.
3. „მე ფეხის ჩლიქადაც არ ვეკადრებოდი“ („ფეხის ჩლიქადაც არ ვეკადრებოდი“) _____1ქ.
4. ერთგული სიყვარულის უნარი _____1ქ.

11. უცხო სტუმრის დანახვისას ხნიერი ქისტის განრისხდა (გაბრაზდა, გაჯავრდა...). „ფერი დაელო მგლისაო“. ჯოყოლასთან მყოფ ქისტს სტუმრის მოკვლა სურდა. ხანშიშესულმა ქისტმა ვერ განახორციელა თავისი განზრახვა, რადგან ის პატივს სცემდა სტუმარმასპინძლობის ტრადიციას.

1. განრისხდა _____1ქ.
2. „ფერი დაელო მგლისაო“ _____1ქ.
3. ქისტს სტუმრის მოკვლა სურდა _____1ქ.
4. მან ვერ დაარღვია სტუმარმასპინძლობის ტრადიცია _____1ქ.

12. ვასიკო კეჟერაძეს სიტყვებით – „ჰე, რამდენი, რამდენნაირი სიცოცხლე მინახავს“ – სურდა ეთქვა, რომ მას მრავალი პერსონაჟის ცხოვრებით უცხოვრია. ვასიკო დროს არ კარგავს „ვერმიშელის რიგში“, რადგან ამ დროსაც კი ფანტაზიას ეძლევა (ფიქრობს). „ასყურა და ასთვალღიანი“. ამ მონოლოგის მთავარი სათქმელი არის ის, რომ ლიტერატურის მეშვეობით ადამიანმა შეიძლება გაიმრავალფეროვნოს ცხოვრება.

1. მას მრავალი პერსონაჟის ცხოვრებით უცხოვრია _____1ქ.
2. რადგან ფანტაზიას ეძლევა (ფიქრობს) _____1ქ.
3. „ასყურა და ასთვალღიანი“ („ასყურა“, „ასთვალღიანი“) _____1ქ.
4. ლიტერატურა ადამიანის ცხოვრებას ამრავალფეროვნებს _____1ქ.

III. წაკითხულის გააზრება (№1 და №2 დავალებები)

13. გ) -----1ქ. 14. გ) -----1ქ. 15. ა) -----1ქ. 16. გ) -----1ქ. 17. ბ) -----1ქ.
 18. გ) -----1ქ. 19. გ) -----1ქ. 20. ბ) -----1ქ. 21. გ) -----1ქ.

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **24**. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება, ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

I კრიტერიუმი

№	დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება	ქულები
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებულ, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	4
2.	დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებულ.	3
3.	დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებულ და გააზრებული, თუმცა ერთ შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან/და ტექსტის არაადეკვატური გაგება.	2
4.	ერთზე მეტ შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებულ.	1
5.	ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულ.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	ნაშრომის აგება	ქულები
1.	ნაშრომი უპასუხებს სამივე მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ პასუხი მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება გაცემული.	3
2.	ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს სამ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	2
3.	ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
4.	ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

№	მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება	ქულები
1.	მსჯელობა <i>სამივე</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.	6
2.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	5
3.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული).	4
4.	მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>ორ</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	3
5.	მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, <i>მეორე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული).	2
6.	<i>სამივე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	1
7.	<i>ორი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული.	0

IV კრიტერიუმი

№	ტექსტის მხატვრული თავისებურებები	ქულები
1.	ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.	2
2.	ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ მსჯელობა არ არის დასაბუთებული კონკრეტულ მაგალითებით.	1
3.	ნაშრომში არ არის <i>გამოყოფილი</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები.	0

V კრიტერიუმი

№	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ქულები
1.	ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	0

VI კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი.	2
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	1
3.	თხზულება სტილისტურად გაუმართავია.	0

VII კრიტერიუმი

№	სინტაქსური კონსტრუქციები	ქულები
1.	ნაშრომში დაშვებულია <i>ერთი</i> სინტაქსური შეცდომა.	2
2.	ნაშრომში დაშვებულია <i>ორი</i> სინტაქსური შეცდომა.	1
3.	ნაშრომში დაშვებულია <i>ორზე მეტი</i> სინტაქსური შეცდომა.	0

VIII კრიტერიუმი

№	<i>მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია</i>	<i>ქულები</i>
1.	არ არის <i>ოთხზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	არ არის <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0